საქმიანობის ანგარიში

2022

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

With the support of the Erasmus+ Programme of the European Union

სარჩევი

შესავალი 3

თავი I. ინსტიტუციური განვითარება 3

საკოორდინაციო საბჭო 3

2023 წლის სამოქმედო გეგმა 4

ადამიანური რესურსების მართვა და შესაძლებლობის გაძლიერება 5

საქმისწარმოება 5

სტრატეგიული კომუნიკაციები 5

მატერიალურ-ტექნიკური და პროგრამული უზრუნველყოფა 6

ინფორმაციული უსაფრთხოება 7

სამართალშემოქმედება 8

პერსონალური მონაცემები და საჯარო ინფორმაცია 10

სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემა 11

ფინანსური რესურსების მართვა 12

შიდა ხარისხის სისტემის განვითარება 13

კვლევა და ანალიტიკური დოკუმენტები 14

სერვისების მომხმარებელთა კმაყოფილების კვლევა 14

სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების პროცესის ანალიზი 16

საერთაშორისო თანამშრომლობის ანალიზი 18

ცენტრის ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია 19

თავი II. უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფა 20

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ექსპერტთა ვიზიტები, ადმინისტრაციული წარმოებები 22

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მხარდამჭერი ღონისძიებები (ტრენინგები, კონსულტაციები, სამუშაო შეხვედრები, სახელმძღვანელოები და სხვა) 23

ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესების განვითარება 20

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა კორპუსი 22

სხვა მნიშვნელოვანი საქმიანობა 24

თავი 3. პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფა 25

საგანმანათლებლო დაწესებულებებში ექსპერტთა ვიზიტები, ადმინისტრაციული წარმოებები 25

მხარდამჭერი სახელმძღვანელოები, ადმინისტრაციული წარმოებისთვის საჭირო ფორმები 26

ჩატარებული ტრენინგები, კონსულტაციები და სამუშაო შეხვედრები 26

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა კორპუსი 28

არაფორმალური განათლება 28

სხვა მნიშვნელოვანი საქმიანობა 30

თავი 4. ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფა 31

ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის რეფორმა 31

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინსტიტუციური თვითშეფასების განვითარების ქვეპროგრამა 33

საგანმანათლებლო დაწესებულებებში ექსპერტთა ვიზიტები, ადმინისტრაციული წარმოებები 35

შემუშავებული დოკუმენტები 36

მეთოდოლოგიური დოკუმენტები/გზამკვლევები 36

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა კორპუსი 36

თავი 5. ადრეული და სკოლამდელი განათლების ხარისხის უზრუნველყოფა 37

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის რეფორმა 37

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების პირველადი რეგისტრაცია 37

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩოს გამართვა 37

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ინსტიტუციური თვითშეფასების ხელშეწყობა 38

ხარისხის სერტიფიცირებული სპეციალისტების მომზადების და სერტიფიცირების კონცეფციის შემუშავება 38

თავი 6. ეროვნული კვალიფიკაციების განვითარება 38

უმაღლესი დარგობრივი საბჭოების ადმინისტრირება 38

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მართვა და მონიტორინგი 39

შემუშავებული დოკუმენტები 39

სამუშაო შეხვედრები და კონსულტაციები 40

სხვა მნიშვნელოვანი საქმიანობა 40

თავი 7. საგანმანათლებლო სერვისების განვითარება 41

საგანმანათლებლო სერვისების სტატისტიკა 2022 წლისთვის: 42

პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის აკრედიტაცია 42

თავი 8: ინტერნაციონალიზაცია 43

BFUG 43

WFME 44

CEENQA 44

ETF 44

SICI 45

საერთაშორისო პროექტები 45

ERASMUS + 46

ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოებთან თანამშრომლობა და ვიზიტები 47

გაფორმებული მემორანდუმები 48

თავი 9: 2022 წლის სამოქმედო გეგმის შესრულებული აქტივობების ანალიზი 48

შესავალი

დოკუმენტში წარმოდგენილია 2022 წლის სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) საქმიანობის ანგარიში. ანგარიშგება ცენტრის 2021-2025 წლების სტრატეგიული ციკლის ფარგლებში განხორციელდა და მოიცავს ადრეული და სკოლამდელი, ზოგადი, პროფესიული, უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველსაყოფად განხორციელებულ აქტივობებს, ეროვნული კვალიფიკაციების განვითარებას, საგანმანათლებლო სერვისების გაცემას, ცენტრის ინტერნაციონალიზაციისა და ინსტიტუციურ განვითარებისთვის განხორციელებულ ღონისძიებებს.
დოკუმენტი მოიცავს დაგეგმვის, მონიტორინგის, შეფასების პროცესების მაკოორდინირებელი ერთეულის, ცენტრის მენეჯმენტის პერსპექტივებს და ჩართული მხარეების უკუკავშირს.

თავი I. ინსტიტუციური განვითარება

საკოორდინაციო საბჭო

ცენტრის საკოორდინაციო საბჭო, რომელიც ცენტრის დებულების შესაბამისად წარმოადგენს ცენტრის მართვის, მისი საქმიანობისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განვითარების პროცესებში დაინტერესებული მხარეების ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით შექმნილ კოლეგიალურ ორგანოს, 2022 წლის განმავლობაში განიხილა და შეათანხმა განათლების სისტემისთვის და ცენტრისთვის, როგორც ინსტიტუციისთვის არა ერთი მნიშვნელოვანი საკითხი. საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრები იმართებოდა ცენტრის დირექტორის მოწვევით. წლის განმავლობაში ონლაინ ფორმატით ჩატარდა სამი შეხვედრა, რომლებზეც საბჭოს წევრებმა განიხილეს და შეათანხმეს 19 საკითხი, კერძოდ:

- ✓ ცენტრის 2021 წლის წლიური ანგარიში;
- ✓ ცვლილების პროექტი ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესში;
- ✓ ცვლილებების პროექტი ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა კორპუსის წევრების საქმიანობის ანაზღაურების წესში;
- ✓ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისა და საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის განახლებული საფასურები;
- ✓ 2022 წლის ინფორმაციული უსაფრთხოების სამოქმედო გეგმა;
- ✓ ცვლილებები ცენტრის დებულებაში - ცენტრის ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტის განხილვა;
- ✓ ცენტრის რეორგანიზაცია - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შექმნის და ფინანსური უზრუნველყოფის სამმართველოს სამსახურად გადაკეთების მიზნით;
- ✓ ცენტრის 2021-2025 წლების სტრატეგიისა და 2022 წლის სამოქმედო გეგმის ცვლილებები;
- ✓ ცენტრის სტრატეგიის და სტრატეგიის დანერგვის, შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესში ცვლილება;
- ✓ ზოგადი განათლების მიმართულებით ინტერნაციონალიზაციის შესაძლებლობა - The Standing International Conference of Inspectorates (SICI);
- ✓ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის პროექტის წარდგენა;
- ✓ ცენტრის ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტის განხილვა;

- ✓ ცვლილება „ავტორიზაციის და აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესში;
- ✓ ცვლილება ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა კორპუსის წევრების საქმიანობის ანაზღაურების წესში;
- ✓ კლასტერული აკრედიტაციის პროცესის მიმდინარეობისა და დანერგვის შესახებ საკითხების/ აქტივობების მიმოხილვა;
- ✓ ცენტრის 2021 – 2025 წლების სტრატეგიის 2023 წლის სამოქმედო გეგმის პროექტის განხილვა;
- ✓ ადრეული აღზრდისა და განათლების/ან და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის პროექტის განხილვა; ადრეული აღზრდისა და განათლების/ან და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების პროექტის განხილვა;
- ✓ ავტორიზაციის დებულებაში შესატანი ცვლილებებისთვის მომზადებული პროექტი, რომელიც უკავშირდება „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონში და აკრედიტაციის დებულებაში 2022 წელს განხორციელებულ ცვლილებებს;
- ✓ ცენტრის 2023 წლის საშტატო განრიგისა და ბიუჯეტის პროექტის წარდგენა.

ზემოთ აღნიშნულ საკითხებთან მიმართებით საბჭომ მხარი დაუჭირა ყველა წარმოდგენილ საკითხს. საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრის ოქმები და წევრების შესახებ ინფორმაცია საჯაროა და ცენტრის ვებგვერდზეა ხელმისაწვდომი.

2023 წლის სამოქმედო გეგმა

ცენტრის 2021-2025 წლების სტრატეგიის 2023 წლის სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით, ცენტრმა მუშაობა სექტემბრის თვეში დაიწყო. პროცესში ჩართულნი იყვნენ ცენტრის ყველა სტრუქტურული ერთეული და მენეჯმენტი. პირველ ეტაპზე, 2020 წელს შემუშავებულ სამოქმედო გეგმის მატრიცაში შევიდა ცვლილება, კერძოდ, განხორციელდა აქტივობების განფასება. „დაფინანსების წყაროს“ ველში დაემატა „აქტივობის სრული ბიუჯეტი“, „ცენტრის ბიუჯეტის“ ველი და „დონორის“ ველი.
აღნიშნული ჩარჩო დოკუმენტი 2023 წლის საქმიანობის დასაგეგმად და შესაბამისი აქტივობების გასაწერად დაეგზავნა ყველა სამსახურს. ცენტრის სტრუქტურულმა ერთეულებმა, კურატორებთან შეთანხმებით შეიმუშავეს და წარმოადგინეს მომდევნო წლის აქტივობების პირველადი სამუშაო ვერსიები. მომდევნო ეტაპზე, ევროკავშირის პროექტის საჯარო მმართველობის რეფორმის (PAR) მხარდაჭერით, სტრუქტურული ერთეულების შესაბამისი თანამშრომლები დაესწრნენ ორდღიან სემინარს, რომელზეც გადამუშავდა სამოქმედო გეგმის პირველადი სამუშაო ვერსია. პოლიტიკის დაგეგმვის ექსპერტმა და შესაბამისმა სამსახურებმა განიხილეს ცენტრის 2021-2025 წლების 2023 წლის სამოქმედო გეგმის პროექტი, შესაბამისი აქტივობებით, ინდიკატორებით და ბიუჯეტით. სემინარზე გამოიკვეთა გამოწვევები, რომლებსაც აღნიშნულ პროცესში ცენტრის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეული ხვდება. ექსპერტის მიერ სემინარზე მონაწილეებმა მიიღეს შესაბამისი რეკომენდაციები.
სამოქმედო გეგმის მომდევნო ეტაპზე გადამუშავდა სამუშაო ვერსია, შეთანხმდა სამსახურებთან და ცენტრის მენეჯმენტთან. ნოემბრის თვეში სამოქმედო გეგმის პროექტი ონლაინ პლატფორმა Zoom-ის გამოყენებით წარედგინა სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეს. ჩატარებულ შეხვედრებს 200-მდე პირი დაესწრო, მათ შორის, ადრეული და სკოლამდელი აღზრდის, ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები, ბაღების გაერთიანებები, რესურსცენტრების წარმომადგენლები, საბჭოების წევრები და ცენტრის ექსპერტთა კორპუსის წევრები, სსიპ - განათლების საინფორმაციო სისტემის წარმომადგენლები. საბოლოო პროექტი ცენტრის საკოორდინაციო საბჭოს

შესათანხმებლად წარუდგინეს და საბჭოს წევრებმა მხარი დაუჭირეს სამოქმედო გეგმის პროექტს. ცენტრის დირექტორს 9 დეკემბერს 2023 წლის სამოქმედო გეგმის საბოლოო პროექტი წარუდგინეს, ხოლო, 23 დეკემბერს დოკუმენტი დამტკიცდა შესაბამისი ბრძანებით და ცენტრის ვებგვერდზე განთავსდა.

ადამიანური რესურსების მართვა და შესაძლებლობის გაძლიერება

ადამიანური რესურსების მართვის მიმართულებით, 2022 წელს ცენტრში მიმდინარეობდა თანამშრომელთა საქმიანობის შეფასების სისტემის შემუშავება. ცენტრის თანამშრომელთა საქმიანობის შეფასების მხარდაჭერის მიზნით შეხვედრა გაიმართა ევროკავშირის დაფინანსებული პროექტის - საჯარო მმართველობის რეფორმა საქართველოში - წარმომადგენლებთან. ამავე პროექტის ფარგლებში განხორციელდა შეფასების ექსპერტის მოძიება და დაიწყო მასთან აქტიური თანამშრომლობა, საჭირო ტრენინგების ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერა, კერძოდ, მათი მხარდაჭერით 2 ტრენინგი ჩატარდა.

ცენტრის დირექტორის ბრძანებით დამტკიცდა „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის თანამშრომლის საქმიანობის შეფასების წესი". წესი ადგენს თანამშრომლის საქმიანობის შეფასების ზოგად პრინციპებს, შეფასების პროცედურას, შეფასების მეთოდს, პერიოდულობას, ასევე, დოკუმენტური მასალის შეფასებისა და გასაუბრების წესს, შეფასების ქულების მინიჭების, საბოლოო შედეგის გამოთვლის, შეფასებაში მონაწილე სუბიექტების უფლება-მოვალეობებს, შეფასების შედეგების გასაჩივრებისა და ანგარიშგების წესებს.

2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, თანამშრომელთა საქმიანობის შეფასების სისტემა ამოქმედდება საპილოტე რეჟიმში, მხოლოდ განმავითარებელი შეფასების განსახორციელებლად.

ცენტრში ახალი მიმართულების დამატებით გამოწვეული რეორგანიზაციის შედეგად, ცენტრს დაემატა ახალი სტრუქტურული ერთეული - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სამსახური. აღნიშნული სამსახური დაკომპლექტდა შესაბამისი კვალიფიკაციის კადრებით.

2022 წლის განმავლობაში ცენტრის საშტატო პოზიციებზე გამოცხადდა 9 კონკურსი, შეირჩა 7 ახალი თანამშრომელი, კარიერული გადაადგილების წესით დაინიშნა 2 თანამშრომელი.

საქმისწარმოება

2022 წელს, საქმისწარმოების მიმართულებით შემუშავდა და დაინერგა ცენტრში ვიზიტის დაჯავშნის ელექტრონული სისტემა, რომელიც ცენტრის ვებგვერდზე განთავსდა.

ცენტრის მომხმარებელთა კმაყოფილების გაზრდის მიზნით, თანამშრომლებისთვის (საქმისწარმოების მიმართულება) ჩატარდა ტრენინგი ეფექტური მომსახურების (სერვის +) მიმართულებით.

სტრატეგიული კომუნიკაციები

ცენტრმა, 2022 წლის დასაწყისში გამოსცა რიგით მეორე ელექტრონული ჟურნალი „განათლების ხარისხის დაიჯესტი“, რომელიც ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსდა, გამოცემის შესახებ ინფორმაცია ცენტრის ფეისბუქგვერდზე გავრცელდა. ჟურნალში დაინტერესებული და ჩართული მხარეებისთვის წარმოდგენილია განათლების ხარისხის განვითარების პროცესებთან დაკავშირებული სტატიები, ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე არსებული საუკეთესო პრაქტიკის მაგალითები, კანონმდებლობაში შესული ცვლილებების მოკლე ანალიზი და სხვადასხვა საინტერესო ინფორმაცია. აღსანიშნავია, რომ ცენტრის დირექტორის ბრძანებით შექმნილია ელექტრონული ჟურნალის

რედკოლეგია, რომლის წევრებიც არიან ცენტრის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების თანამშრომლები. რედკოლეგიის წევრებისა და ცენტრის სხვა თანამშრომლების მიერ მომზადებული სტატიები განთავსებულია ელექტრონულ ჟურნალში.

შემუშავდა 2022 წლის მედიასთან ურთიერთობის გეგმა, რომლის შემუშავებისას ცენტრმა 2022 წლის სამოქმედო გეგმის დოკუმენტით იხელმძღვანელა. მედიასთან ურთიერთობის გეგმაში გაიწერა ცენტრის მიერ განსახორციელებელი ყველა მნიშვნელოვანი ღონისძიება.

2022 წლის განმავლობაში, ცენტრი თანამშრომლობდა მედიის სხვადასხვა საშუალებებთან, მათ შორის: interpressnews.ge-თან, გაზეთ „ახალ განათლებასთან“, „რადიო იმედთან“, ტელეკომპანია „იმედთან“, ტელეკომპანია „რუსთავი 2“ - თან და „საზოგადოებრივ მაუწყებელთან“. ცენტრის დირექტორი, მოადგილეები და თანამშრომლები მიწვეულები იყვნენ სხვადასხვა თემატურ გადაცემებში. ასევე, გავრცელდა ცენტრის თანამშრომლების მიერ მომზადებული სტატიები და ნიუსები ცენტრის საქმიანობის, მიღწევებისა და სამომავლო გეგმების შესახებ.

ამასთან, ცენტრის ორგანიზებით, 2022 წლის მარტის თვიდან დაიწყო და 2022 წლის დეკემბრის თვეში დასრულდა საქართველოს მასშტაბით შეხვედრების ციკლი უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებთან, რომლის მიზანი იყო სტუდენტებისთვის ცენტრის საქმიანობის, მიღწევების, მიმდინარე და სამომავლო პროექტების გაცნობა, როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო დონეზე. შეხვედრები გაიმართა: ბათუმის შოთა რუსთაველი სახელმწიფო უნივერსიტეტის, შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის (GAU), შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტისა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებთან. შეხვედრებზე ცენტრმა წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც ეხებოდა ცენტრის საქმიანობას, სტუდენტების უფლებებსა და მათი ჩართულობის ფორმებს განათლების ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებში, განათლების სფეროს ინტერნაციონალიზაციას და საზღვარგარეთ სწავლის გაგრძელების შესაძლებლობებს, ასევე, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს.

აღსანიშნავია, რომ 2022 წლის განმავლობაში, მუდმივად ახლდებოდა ცენტრის ვებგვერდზე არსებული ინფორმაცია ქართულ და ინგლისურ ენებზე.

ამასთან, 2022 წელს შემუშავდა ცენტრის საიმიჯო ბროშურა ქართულ და ინგლისურ ენებზე, სადაც მოცემულია ცენტრის მისია, ხედვა, ღირებულებები, ცენტრის მანდატი და ძირითადი ფუნქციები. აღნიშნული საიმიჯო ბროშურის ძირითად მიზანს წარმოადგენდა ცენტრის მიერ ყველა დაინტერესებული მხარისთვის ცენტრის შესახებ ძირითადი ინფორმაციის მიწოდება.

მატერიალურ-ტექნიკური და პროგრამული უზრუნველყოფა

შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის მიმართულებით, 2022 წელს განხორციელდა ცენტრის მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და პროგრამული უზრუნველყოფის შესაბამისობის კვლევა, ცენტრის ყველა სტრუქტურული ერთეულის ფუნქცია-მოვალეობებთან მიმართებით. კვლევის მიზანს ასევე წარმოადგენდა ცენტრის თანამშრომლების კმაყოფილების განსაზღვრა, არსებული მატერიალური რესურსების, სამუშაო გარემოს, საჭირო საკანცელარიო და საოფისე მოწყობილობების მომარაგების, კომპიუტერული ტექნიკის გამართულობის, საოფისე ავეჯისა და სხვა რიგი საჭიროებების შესახებ. ამასთან, შესწავლილ იქნა პროგრამული უზრუნველყოფის რესურსები და დადგინდა დამატებითი საჭიროებები ცენტრის სტრუქტურული ერთეულებისთვის, მათი დასახული ამოცანების შესასრულებლად. კვლევა ჩატარდა აპრილი-ივნისის პერიოდში Microsoft Forms-ის პლატფორმაში შექმნილი კითხვარით. კვლევამ გამოავლინა მატერიალური რესურსების

კუთხით არსებული საჭიროებები, შეიმუშავა რეკომენდაციები და დაიწყო საჭირო პროცედურების განხორციელება.
ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის და განათლების ხარისხის განვითარების შესახებ საქართველოს კანონების საფუძველზე ცენტრმა დაიწყო საჯარო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის პროცესი. ამასთანავე, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ კანონში შეტანილი ცვლილებების საფუძველზე ცენტრს დაემატა ახალი ფუნქცია - სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ავტორიზაციის მიმართულებით, რაც თავის მხრივ გულისხმობდა ახალი სტრუქტურული ერთეულის მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფას. აღნიშნული მასშტაბის ცვლილებები, რაც ასევე გამოწვეულია არსებული საერთაშორისო ვალდებულებებით, იწვევდა ცენტრის ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერების აუცილებლობას, მათ შორის ინფრასტრუქტურული თვალსაზრისით. შესაბამისი სამუშაო ადგილების შექმნის მიზნით, ცენტრს გააჩნდა საკმარისი საოფისე ინვენტარი და პერიფერიული მოწყობილობები, თუმცა, ცენტრში არსებული კომპიუტერული ტექნიკა არ იყო საკმარისი. ცენტრმა, ახალი უფლებამოსილებების ჯეროვნად განხორციელებისთვის, სახელმწიფო შესყიდვის გზით შეიძინა 40 (ორმოცი) ერთეული სტაციონალური დესკტოპკომპიუტერის კომპლექტი (სისტემური ბლოკი, მაუსი, კლავიატურა) და 20 (ოცი) ერთეული პორტატული კომპიუტერი (ლეპტოპი). შესყიდვის ჯამურმა ღირებულებამ 104,000 (ას ოთხი ათასი) ლარი შეადგინა.
გარდა ამისა, გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი ადრეული ან/და სკოლამდელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის განმახორციელებელი დაწესებულებების თვითშეფასების ელექტრონული პლატფორმის შესყიდვის მიზნით.
უცხოეთში ქართული საგანმანათლებლო დაწესებულებების/მათ მიერ განხორციელებული პროგრამების შესახებ ცნობადობის ამაღლებისა და ქართული საგანმანათლებლო დოკუმენტების აღიარების პროცესების გამარტივების მიზნით, ცენტრის ვებგვერდზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საძიებო რეესტრის ჩაშენებისთვის, ცენტრის მიერ განხორციელდა პროგრამული უზრუნველყოფის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა. ასევე, მატერიალური სახით შენახული საარქივო დოკუმენტების დიგიტალიზაციისა (სკანირება) და კატალოგიზაციის მიზნით შესყიდულ იქნა შესაბამისი მომსახურება. აღნიშნული მომსახურების ფარგლებში, განხორციელდა 20,500 საქმის სკანირება, დასკანერებული დოკუმენტების და საქმეების ანოტირება, საქმეში დოკუმენტების დაბრუნება და სისტემატიზაცია.
ცენტრში არსებული ელექტრონული პლატფორმების ტექნიკური მხარდაჭერის, წარმოშობილი ტექნიკური ხარვეზების აღმოფხვრის, ელექტრონული პლატფორმების განვითარებისა და მათთვის ახალი ფუნქციონალის დამატების მიზნით, გაძლიერდა ადამიანური რესურსი პროგრამული უზრუნველყოფის მიმართულებით, რომელსაც ევალება შემდეგი პროგრამების ტექნიკური მხარდაჭერა და განვითარება: დიაგნოსტიკური თვითშეფასების ელექტრონული სისტემა; ექსპერტთა მართვის ელექტრონული სისტემა, საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის რეესტრი, დიპლომების მართვის ელექტრონული სისტემა, ცენტრის ვებგვერდი www.eqe.ge; მონიტორინგის ელექტრონული სისტემა, ჯავშნის ელექტრონული სისტემა booking.eqe.ge .
აღსანიშნავია, რომ ცენტრის მიერ გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის 118 ერთეული ხელშეკრულება, რომელთა ჯამურმა ღირებულებამ 694,922 (ექვსას ოთხმოცდათოთხმეტი ათას ცხრაას ოცდაორი) ლარი შეადგინა.

ინფორმაციული უსაფრთხოება

2022 წლიდან, ცენტრი წარმოადგენს პირველი კატეგორიის კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტს, რაც თავის თავში მოიაზრებს ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის

დანერგვას საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სსიპ – საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს უფროსის 2021 წლის 21 დეკემბრის N35 ბრძანების შესაბამისად. სწორედ აღნიშნულის ფარგლებში, 2022 წელს შემუშავდა და დამტკიცდა ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის დანერგვის ახალი სამოქმედო გეგმა, რომლის თანახმად სისტემის დანერგვა 24 თვეში უნდა განხორციელდეს (მათ შორის მონიტორინგი და აუდიტი). აღნიშნული გეგმის შესაბამისად, 2022 წელს განახლდა ინფორმაციული უსაფრთხოების საბჭო, შემუშავდა და დამტკიცდა ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის პოლიტიკა და გავრცელების სფერო, რომელიც წარედგინა ოპერატიულ ტექნიკურ სააგენტოს, ასევე ცენტრის კონტექსტის, დაინტერესებული მხარეების საჭიროებებისა და მოლოდინების განსაზღვრის დოკუმენტი. ცენტრი აქტიურად მუშაობს აქტივების იდენტიფიცირების, ფასეულობების განსაზღვრისა და გავლენის შეფასებაზე, რისთვისაც 2022 წელს დამტკიცდა აქტივების აღწერისა და მართვის მეთოდოლოგია. აქტივების აღწერა შესაბამისი მფლობელებისა და გავლენების მიხედვით 2023 წლის იანვარში დასრულდა. გარდა ზემოაღნიშნულისა, ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერმა მოიპოვა სსიპ - ციფრული მმართველობის სააგენტოს სერტიფიკატი. საანგარიშო პერიოდში ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერი და კომპიუტერული უსაფრთხოების სპეციალისტი აქტიურად მუშაობდნენ ცენტრის კომპიუტერული და ქსელური სისტემების უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 2022 წელს ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერმა თანამშრომელთა, მათ შორის საბჭოს წევრების, ცნობიერების ამაღლების მიზნით ჩაატარა სამუშაო შეხვედრები და წარადგინა დაგეგმილი აქტივობების მოკლე მიმოხილვა. ყოველივე აღნიშნული ეხმარება ცენტრის დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად იუმს ეფექტურად დანერგვაში.

სამართალშემოქმედება

საანგარიშო პერიოდში ცენტრის სტრუქტურული ერთეულების ჩართულობით ინიცირებულ იქნა არაერთი მნიშვნელოვანი ცვლილება. 2022 წლიდან უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სისტემის ცვლილების და შესაბამისად, კლასტერული აკრედიტაციის იმპლემენტაციის მიზნით, მიზანშეწონილი გახდა *ცვლილებების განხორციელება ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონში*. ასევე, ცვლილების შედეგად უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ავთენტურობის გადამოწმების კომპონენტი დარჩა მხოლოდ უცხოეთში მიღებული უმაღლესი განათლების აღიარების საკითხის განხილვისას, ხოლო იგივე კომპონენტი ამოღებულ იქნა ზოგადსაგანმანათლებლო, ან პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის აღიარებისას.

2022 წლიდან უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სისტემის ცვლილების შესაბამისად, კლასტერული აკრედიტაციის მოდელის (Cluster Accreditation) იმპლემენტაციის მიზნით, ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებულმა ცვლილებებმა, აუცილებელი გახადა თანმდევი სახით „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონშიც გარკვეული ცვლილებების შეტანა.

ცვლილება შევიდა „საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №98/ნ ბრძანებაში. ცვლილების შედეგად, უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების მიზნით, ცენტრი უფლებამოსილია დაუკავშირდეს შესაბამისი ქვეყნის უფლებამოსილ ორგანოს ან/და საგანმანათლებლო დოკუმენტის გამცემ დაწესებულებას, ასევე საკითხის გადაწყვეტისათვის

მოითხოვოს დამატებითი, მათ შორის, უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების მიზნებისთვის, პირის საზღვარგარეთ ცხოვრების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა.
გარდა ზემოაღნიშნულისა, ცვლილების განხორციელების აუცილებლობა გამოწვეულ იქნა იმით, რომ აუცილებელი გახდა ბრძანების საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა, ასევე, უფრო მოქნილი მიდგომების დანერგვა. გამოიკვეთა „საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურების, უცხოეთში მიღებული განათლების აღიარებისა და ლიცენზირებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხული პირების მიერ მიღებული უმაღლესი განათლების სახელმწიფო აღიარების საფასურების“ ნაწილშიც ცვლილებების საჭიროება. კერძოდ, აუცილებელი გახდა ისეთი შემთხვევის ასახვა, როდესაც პირმა უკვე განახორციელა ცენტრში საგანმანათლებლო დოკუმენტზე ნამდვილობის დადასტურების პროცედურა, ხოლო შემდგომ, დოკუმენტის ვიზუალური ფორმის გამო, მას უარი ეთქვა აღნიშნული დოკუმენტის აპოსტილით დამოწმება/ლეგალიზაციაზე, ვინაიდან ცენტრს უკვე ჩატარებული აქვს აღნიშნულ დოკუმენტზე ადმინისტრაციული წარმოება. ამ შემთხვევაში, წარმოდგენილი პროექტმა დაადგინა, რომ მიზანშეწონილია შეცვლილ საგანმანათლებლო დოკუმენტზე, სერვისის გაცემა უფასოდ მოხდეს.
ცვლილება შევიდა „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების საფასურის განსაზღვრის თაობაზე“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 2 აპრილის №67/ნ ბრძანებაში.
ამასთან, *დამტკიცდა „ვეტერინარის სერტიფიკატის გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების პროექტი.* „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებულმა ცვლილებებმა ხელი შეუწყო იმას, რომ დროულად მოხდეს ვეტერინარის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულებისთვის ვეტერინარის სერტიფიკატის გაცემა.
ცვლილება შევიდა „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებაში. ცვლილებების განხორციელების მიზანია სწავლის სფეროების კლასიფიკატორში ცვლილებების შეტანა, რომლის საჭიროებაც გამოწვეულია ერთი მხრივ უმაღლესი განათლების სწავლის სფეროში ტექნიკური უზუსტობების გასწორებით, რაც გულისხმობს სწავლის სფეროს ან/და კვალიფიკაციის ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი დასახელებების შეუსაბამობას და ასევე სხვა სახის ტექნიკური ხასიათის საკითხების გამოსწორებას, რომელიც არ იწვევს სწავლის სფეროს შინაარსის ცვლილებას. ასევე, განხორციელდა გრაფიკისა და გრაფიკის ხელოვნების სწავლის სფეროს გადატანა აუდიოვიზუალური მეთოდების სწავლის სფეროდან სახვითი ხელოვნების სწავლის სფეროში. ამასთან, კლასიფიკატორის მე-4 მუხლით გათვალისწინებულ ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საფეხურის შესაბამისი კვალიფიკაციების ზოგადი აღმნიშვნელები სწორდება და ჩამოყალიბდება წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებული სახით.
აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნული ცვლილებები ძირითადად სწავლის შემდეგ სფეროებს ეხება - აუდიოვიზუალური მეთოდები და მედია პროდუქცია/წარმოება; გამოყენებითი ხელოვნება/ხელნაკეთობა; მუსიკა და საშემსრულებლო ხელოვნება; სახვითი ხელოვნება; ენის დაუფლება.
ცენტრში გარე ინიცირების გზით, 2022 წლის 6 აპრილს დარეგისტრირდა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ორგანიზებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული „კონფლიქტოლოგიის" უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის პროექტი, რომლის საფუძველზეც „კონფლიქტოლოგიის უმაღლესი განათლების დარგობრივმა საბჭომ ცენტრის დირექტორისთვის კონფლიქტოლოგიის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის დასამტკიცებლად გასცა დადებითი რეკომენდაცია. შესაბამისად, საჭირო გახდა „ეროვნული

კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებაში (შემდგომ - ბრძანება) შესაბამისი ცვლილების განხორციელება. ამასთან, ბრძანების პირველი მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „სწავლის სფეროების კლასიფიკატორში“ (შემდგომ - კლასიფიკატორი) არსებული შინაარსობრივი და ტექნიკური ხარვეზების გასწორება.

შემდგომში, ინიციატორი მხარის მოთხოვნის დაკმაყოფილების, საერთაშორისო ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ხელშეწყობისა და ეროვნული კლასიფიკატორის საერთაშორისო კლასიფიკატორთან (ISCED-F 2013) მეტად დაახლოების მიზნით, მიზანშეწონილი იყო ცვლილების განხორციელება ბრძანების პირველი მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „სწავლის სფეროების კლასიფიკატორის“ (დანართი №2) მე-3 მუხლით გათვალისწინებული დეტალური სფეროს - მონაცემთა ბაზებისა და ქსელების დიზაინი და ადმინისტრირება Database and Network Design and Administration (კოდი - 0612) ჩამონათვალში და პირველ სვეტში შემდეგი შინაარსის პუნქტის დამატება: „0612.1.2 ინფორმაციის ტექნოლოგიების უსაფრთხოება/ Information Technology Security.“.

მომზადდა ცვლილება *„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის რეორგანიზაციის გზით საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებაში,* რომლის ძირითადი მიზანია ცენტრის დებულებით გათვალისწინებული ფუნქცია-მოვალეობების შესაბამისობაში მოყვანა ახალდაფუძნებული ააიპ - „პროფესიული უნარების სააგენტოს“ წესდებით დადგენილ რეგულაციებთან.

მომზადდა ცვლილება - „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებაში. წარმოდგენილი ცვლილებები მიზნად ისახავს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულება და საფასური“ შესაბამისობაში მოვიდეს ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ და ,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონებში შესულ ცვლილებებთან.

პერსონალური მონაცემები და საჯარო ინფორმაცია

ცენტრის სტრუქტურულ ერთეულებს ჩაუტარდათ ტრენინგები პერსონალურ მონაცემთა დაცვის მნიშვნელოვან საკითხებზე. შეხვედრის ფარგლებში გამოვლენილ პრობლემატურ თემებზე შეიქმნა შესაბამისი დოკუმენტაციები და გაიწერა რეკომენდაციები. მათ შორის, ცენტრის ცხელი ხაზის ოპერატორებისთვის შემუშავდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ რეკომენდაცია, რომელშიც დეტალურად გაიწერა მონაცემთა შეგროვების, გამჟღავნების და შენახვის ძირითადი პრინციპები და სამართლებრივი საფუძვლები. ასევე, ცენტრის შესაბამისი სამსახურისთვის „შემუშავდა ექსპერტთა თანხმობის ფორმის პროექტი“ მონაცემთა შემდგომი დამუშავების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

ცენტრის ვებგვერდის მომხმარებელთა მოთხოვნილებების მაღალი სტანდარტით დაკმაყოფილების მიზნით, საჯარო ინფორმაციის მისაღებად შეიქმნება სპეციალური ელფოსტის მისამართი, რომელიც ჩაშენდება ვებგვერდზე არსებული კონტაქტის ელფოსტის ველში, საიდანაც მომხმარებლები პირდაპირ შეძლებენ მოთხოვნის გამოგზავნას მათი განცხადების Eflow-ს სისტემაში რეგისტრაციის გარეშე. ზოგიერთ შემთხვევაში, მათ შორის, მომხმარებლის მიერ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის მიზნიდან

გამომდინარე, შესაძლებელია შემოსული კორესპონდენცია გადაამისამართონ info@eqe.ge-ზე Eflow-ში დარეგისტრირების უზრუნველსაყოფად.

სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემა

სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ საქართველოს კანონისა და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, 2021 წლის დეკემბერში ორგანიზაციის წინაშე არსებული ამოცანებისა და მიზნების გათვალისწინებით, შეფასდა ორგანიზაციის/ მიმდინარე პროცესების ძირითადი რისკები, რომელთა შეფასების შედეგად დამტკიცდა 2021-2023 წლის სტრატეგიული გეგმის ცვლილება და 2022 წლის წლიური გეგმა. შესაბამისად, 2022 წელს დაგეგმილი იყო 5 აუდიტორული შემოწმების ჩატარება (2 სისტემური, 2 შესაბამისობის და 1 ეფექტიანობის აუდიტი). წლიური გეგმის შესაბამისად, განხორციელდა 3 აუდიტორული შემოწმება.

ვინაიდან ცენტრი წარმოადგენს კრიტიკული ინფორმაციული უსაფრთხოების სუბიექტს, შიდა აუდიტის სამსახური საკანონმდებლო მოთხოვნის მიხედვით ასევე ატარებს ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის შესაბამისობის აუდიტს, რომლის ჩატარებაც ასევე გათვალისწინებული იყო წლიურ გეგმაში. თუმცა, ვინაიდან 2022 წელს შეიცვალა მარეგულირებელი კანონმდებლობა (პირველი და მეორე კატეგორიების კრიტიკული ინფორმაციული სისტემების სუბიექტებისთვის ინფორმაციული უსაფრთხოების მინიმალური მოთხოვნები) ზემოაღნიშნული აუდიტი 2023 წელსაც ჩატარდება, თუმცა, პროცესების ეფექტურად განხორციელების მიზნით, ჩატარდა წინა წელს განხორციელებული ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის აუდიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი.

გარდა აუდიტორული შემოწმებებისა, კონტროლის ეფექტურად დანერგვის მიზნით, განხორციელდა ჩატარებული აუდიტორული შემოწმებების ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი. კერძოდ, 2022 წელს ჩატარდა 6 აუდიტორული შემოწმების ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი, რომლის შედეგები ეცნობა ცენტრის დირექტორს.

2022 წელს შემუშავდა შიდა აუდიტის პროცესების რისკების რეესტრი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის და შიდა აუდიტის სამმართველოსთან თანამშრომლობით.

შიდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის მიზნით, სამინისტროს შიდა აუდიტის სამმართველოსთან მჭიდრო თანამშრომლობით, შემუშავდა და განხორციელდა შიდა აუდიტის სამსახურის ხარისხის შეფასების სისტემის პილოტი, რომლის ფარგლებშიც ჩატარდა ცენტრის შიდა აუდიტის სამსახურის თვითშეფასება, აუდიტის ობიექტის მხრიდან, აუდიტის სამსახურის შეფასება, ასევე გაწეული საკონსულტაციო მომსახურების ხარისხის შეფასება. პილოტის შედეგად შემუშავდა, შიდა აუდიტის სამსახურის დებულების ცვლილების პროექტი, შიდა აუდიტის ხარისხის უზრუნველყოფისა და განვითარების პროგრამა, შიდა აუდიტის საქმიანობის დოკუმენტირებისა და საქმისწარმოების წესის პროექტი, საკონსულტაციო მარწმუნებელი საქმიანობის განმსაზღვრელი დოკუმენტი, აუდიტორთა დამოუკიდებლობისა და ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის ხელწერილის ფორმა, შიდა აუდიტის სამსახურის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის ფორმა (შესაბამისი დოკუმენტი), აუდიტის ობიექტის შეფასების ფორმა, აუდიტის განხორციელების ხარისხის შეფასების ფორმა. გარდა აღნიშნულისა, შიდა აუდიტის სამსახურმა შეაფასა ორგანიზაციაში არსებული რისკები და შეიმუშავა 2023 წლის წლიური გეგმა, რომელშიც ასევე გათვალისწინებულია სამინისტროს რეკომენდაციები, სამინისტროს გარე შეფასების შედეგები.

ფინანსური რესურსების მართვა

2022 წლის განმავლობაში ადმინისტრირება გაეწია სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული სახსრების 3,668,837.00 ლარს და საკუთარი საკუთარი შემოსავლის წყაროდან განსაზღვრული 5,150,000.00 ლარის ხარჯს, რამაც უზრუნველყო უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის, სერვისების განვითარების მიმართულებებით განსახორციელებელი და ცენტრის გამართული ფუნქციონირებისათვის საჭირო სამუშაოები.

საანგარიშო პერიოდში მომზადდა ცენტრის 2022 წლის ბიუჯეტი, საშტატო განრიგი, შესაძენი საწვავის ხარჯი და გასაწევი საკომუნიკაციო (სატელეფონო და ფიჭური კავშირგაბმულობის) ხარჯების ლიმიტები და თანამშრომელთა (შტატით განსაზღვრულ და შტატგარეშე პოზიციებზე დასაქმებულ თანამშრომელთა) სახელფასო და მატერიალური წახალისებისათვის გამოსაყოფი სახსრები და შეთანხმდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან.

ასევე, მომზადდა საქართველოს მთავრობასთან შესათანხმებელი ცენტრის ბიუჯეტის, საშტატო ნუსხისა და სახელფასო ფონდის შესაბამისი დანართები, საქართველოს მთავრობის განკარგულებების „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ შეზღუდვაზე გამონაკლისის დაშვების პროექტები. აღნიშნულ გამონაკლისებზე გამოცემულია საქართველოს მთავრობის განკარგულებები. „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 35-ე და 36-ე მუხლების მოთხოვნების შესაბამისად მომზადდა და სამინისტროსთან შეთანხმდა 2023-2026 წლების საბიუჯეტო განაცხადის ფორმები. სამინისტროს წარედგინა 2023-2026 წლების საშუალო ვადიანი სამოქმედო გეგმის შემუშავებისთვის საჭირო ინფორმაცია, ასევე მომზადდა საბიუჯეტო პროგრამის ფარგლებში მომსახურების გაწევის შესახებ შეთანხმების საფუძველზე და საშუალოვადიანი გეგმის შესაბამისად ცენტრის მიერ გაწეული აქტივობების შესახებ 3, 6 და 9 თვის ანგარიშები, გაიწერა ცენტრის ბიუჯეტის გეგმის შესრულების მონიტორინგის ბიზნეს პროცესი.

2022 წლის განმავლობაში, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარედგინა სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების 3, 6, 9 თვის და 2021 წლის ანგარიშები. ასევე მომზადდა და სამინისტროს წარედგინა 2021 წლის ფინანსური ანგარიშგება დანართებით (ბალანსი), ხორციელდებოდა კვარტალური გეგმის მონიტორინგი.

ადმინისტრირება გაეწია დონორი ორგანიზაციების მიერ დაფინანსებულ პროექტებს: PROFFORMANCE - Assessment Tool and Incentive Systems for Developing Higher Education Teachers' Performance (შეფასების ინსტრუმენტი და წახალისების სისტემები აკადემიური პერსონალის საქმიანობის განვითარებისათვის უმაღლეს განათლებაში; გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განვითარების პროგრამას (UNDP) „საქართველოში სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული პროფესიული განათლებისა და მომზადების (VET) სისტემის მოდერნიზაცია (VET ფაზა 2)“; გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) პროექტს " საქართველოს სასკოლო კვების პროგრამის კონცეფცია"; გაეროს ბავშვთა ფონდს (UNICEF) შორის, პროექტს "ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების კანონის და სახელმწიფო სტანდარტების დანერგვის ხელშეწყობა ეროვნულ დონეზე ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის სისტემის შექმნის გზით"; ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ კოორდინირებულ პროექტს - „მესამე მისიის ხარისხის და შესაბამისობის გაძლიერება საქართველოს უნივერსიტეტებში“ (SQUARE).

ამასთან, დაანგარიშდა და გაიწერა: ა) სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების საფასურის პროექტი; ბ) პროგრამის განხორციელების ვადაში მსმენელთა

რაოდენობის გაზრდის საფასურის პროექტი; დ) საბჭოს მიერ ხარვეზის გამოსწორების დროს საფასურის პროექტი.
ასევე, საქართველოს სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემაში შეიქმნა ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის დასაბრუნებელი თანხების საგადასახადო მოთხოვნები. განხორციელდა ცენტრის სახაზინო ანგარიშზე საკუთარი შემოსავლების 3, 6 და 9 თვის ანალიზი - ჩაშლილი გაწეული მომსახურებების მიხედვით. მომზადდა 'შეთანხმებები ცენტრის შენობაში არსებულ სსიპ-ებთან ერთად სხვადასხვა ხარჯის განსაზღვრის მიზნით, როგორიცაა: წყლის განაწილების ხარჯი, გარე განათების ხარჯი. სწრაფი გადახდის აპარატის (pay box) განთავსების მიზნით, ჩატარდა აუქციონი და გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულება. განისაზღვრა 2022 წლის საკასო და ფაქტობრივი შემოსავლები თითოეული თვის და შემოსავლის სახეების მიხედვით. შემოსავლების სამსახურში შესაბამის ვადებში, წარდგენილი იქნა საგადასახადო დეკლარაციები: საშემოსავლო გადასახადის ყოველთვიური დეკლარაცია, დღგ-ს ყოველთვიური დეკლარაცია, მოგების ყოველთვიური დეკლარაცია და ქონების წლიური დეკლარაცია.
მომზადდა და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურს წარედგინა სტატისტიკის წლიური კითხვარის ფორმა. სახელმწიფო ხაზინის ელექტრონულ სისტემაში დარეგისტრირდა ხელშეკრულებები, ასევე გადარიცხვებთან დაკავშირებული პირველადი დოკუმენტები და ინვოისები. საბუღალტრო-კომპიუტერულ პროგრამაში „ორისი" ყოველდღიურად ხდებოდა დაფინანსების წყაროების მიხედვით ბუღალტრული გატარებების ასახვა (საბიუჯეტო, საკუთარი შემოსავლები და მიზნობრივი გრანტი).

გრაფიკი 1:



შიდა ხარისხის სისტემის განვითარება

2022 წელს, დემინგის PDCA (Plan-Do-Check-Act) ხარისხის მართვის ძირითად მოდელზე დაყრდნობით, ცენტრმა გააგრძელა შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის განვითარება, ცენტრში მიმდინარე პროცესების იდენტიფიცირება, აღწერა, ანალიზი და ცვლილებების განხორციელება გაუმჯობესებისთვის. სტრუქტურული ერთეულების მიერ გაანალიზდა და აღიწერა 29 ბიზნეს პროცესი. ცვლილებები შევიდა ცენტრის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტის დანართში - ძირითადი და დამხმარე ბიზნეს პროცესების ნუსხაში. განხორციელებული ცვლილებების შემდეგ, 2022 წლის დეკემბრის მდგომარეობით, მასში ასახულია 48 ძირითადი და 48 დამხმარე პროცესი.
ბიზნეს პროცესების აღწერის პარალელურად მიმდინარეობდა შიდა ხარისხის უზრუნველყოფის PDCA ციკლის სრულყოფილად ამოქმედებისთვის ხელშემწყობი მექანიზმების განვითარება. კერძოდ,

მომზადდა პროცესის თვითშეფასების მეთოდოლოგიის პროექტი და აღნიშნული მეთოდოლოგიით პილოტირების რეჟიმში განხორციელდა 2 ბიზნეს პროცესის თვითშეფასება. შედეგად, ორივე დოკუმენტში შევიდა ცვლილებები და მომზადდა მათი განახლებული მეორე ვერსიები. ასევე, აღწერილი ბიზნეს პროცესის ფორმა გარე შეფასების განხორციელების მიზნით, პილოტირების რეჟიმში ცენტრის შიდა აუდიტის სამსახურმა გამოიყენა და მისი გაუმჯობესების შესახებ გასცა რეკომენდაციები.

კვლევა და ანალიტიკური დოკუმენტები

სერვისების მომხმარებელთა კმაყოფილების კვლევა

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა ცენტრის სერვისების მომხმარებელთა კმაყოფილების კვლევა. კვლევის მიზანს წარმოადგენდა კვლევისთვის იდენტიფიცირებული სერვისების მიმღები ფიზიკური და იურიდიული პირების კმაყოფილების ხარისხის შესწავლა შემდეგი მიმართულებებით: პროცესების მოქნილობა ცენტრის ვალდებულებების შესრულების დროულობა; სერვისის განხორციელებაში ჩართული ჯგუფების მიერ შესრულებული სამუშაო; ცენტრის გადაწყვეტილების დასაბუთებულობა; ცენტრის მიერ შეთავაზებული კონსულტაციები; ცენტრის მუშაობის ხარისხი დაწესებულებების შესაძლებლობების გაძლიერებისა და ხარისხის კულტურის დანერგვის ხელშეწყობის მიმართულებით; ცენტრის მხარდამჭერი საქმიანობის ხარისხი. ასევე, სერვისების შემადგენელი გასაუმჯობესებელი კომპონენტების გამოვლენა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება.

კვლევის ფარგლებში შესწავლილ იქნა ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, საგანმანათლებლო სერვისების განვითარების სამსახურისა და კვალიფიკაციების განვითარების სამსახურის სერვისების მომხმარებელთა კმაყოფილების ხარისხი. ასევე, ცენტრში მოქმედი საბჭოებისა და ექსპერტთა კორპუსის წევრების კმაყოფილება ცენტრის მხარდამჭერ საქმიანობასთან დაკავშირებით.

კვლევა რაოდენობრივი მეთოდოლოგიის გამოყენებით, ელექტრონული და სატელეფონო გამოკითხვის მეთოდებით განხორციელდა. სამიზნე ჯგუფებს წარმოადგენდნენ მომხმარებლები, რომლებმაც საკვლევ პერიოდში (2021 წლის 1 აგვისტოდან, 2022 წლის 1 აგვისტომდე) მიმართეს ცენტრს კვლევისთვის იდენტიფიცირებული სერვისების მისაღებად. გამოკითხვაში მონაწილეობისთვის სერვისების ნაწილში, მოწვეული იყო მომხმარებელთა გენერალური ერთობლიობა; იმ სერვისების მომხმარებლებს შორის კი, რომელთა საერთო რაოდენობა მაღალია, განხორციელდა კვლევის მონაწილეთა შერჩევა. მონაცემები დამუშავდა სტატისტიკური მონაცემების კომპიუტერული პროგრამით - IBM SPSS, აღწერითი სტატისტიკის გამოყენებით.

სერვისების უმეტესობაში, პროცესების მოქნილობა - განაცხადის ცენტრში წარდგენის პროცესის სიმარტივე დასტურდება რესპონდენტების უმრავლესობის მიერ. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების, ასევე, რეგისტრაციის მიზნით განაცხადის ცენტრში ელექტრონული სისტემის (QMS) მეშვეობით წარმოდგენის პროცესი კი მონაწილეების უმრავლესობისთვის საშუალო სირთულისაა. რესპონდენტების კომენტარების საფუძველზე, პროცესის გასამარტივებლად მიზანშეწონილია მსჯელობა QMS სისტემის მეტად მოქნილობის უზრუნველყოფაზე - პროგრამის ინვენტარის/აღჭურვილობის შესახებ ინფორმაციის შეტანის პროცესის ფუნქციების გაუმჯობესება (დაკოპირების შესაძლებლობა; გამიჯვნა პროგრამების მიხედვით; მიბმული ფაილის სახით ატვირთვის შესაძლებლობა); სისტემის მოხმარების ინსტრუქციების განახლება; ბაზის გამართულობა და სისტემაში ინფორმაციის ცვლილების შესაძლებლობა.

ცენტრის ვალდებულებების შესრულების დროულობის თაობაზე მიღებული შეფასებები დადებითია - მონაწილეები, ძირითადად, ეთანხმებიან მოსაზრებას, რომ ცენტრის ვალდებულებების შესრულება ხდება პროცესით გათვალისწინებულ ვადებში.

სერვისის განხორციელებაში ჩართული ჯგუფების მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასების შედეგები შემდეგია:

- უმაღლესი და პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სერვისებში მონაწილე ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფების მიერ შესრულებული სამუშაო, მისი შემადგენელი კომპონენტების შესაბამისად მაღალი ხარისხით ფასდება. განსაკუთრებით მაღალია ექსპერტების შეფასება ექსპერტთა ეთიკურობის მიმართულებით. შეფასების შედარებით დაბალი მაჩვენებელი შეესაბამება ექსპერტების მიერ საუნივერსიტეტო რესურსების შემოწმების ხარისხს;
- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და აკრედიტაციის საბჭოს მიერ შესრულებული სამუშაოს ხარისხის შეფასება, საქმიანობის შემადგენელი კომპონენტების მიხედვით, ასევე, მაღალი ხარისხის შესაბამისია. საბჭოს ეთიკურობის ხარისხთან ერთად, განსაკუთრებით მაღალი ხარისხის აღმნიშვნელია საბჭოს მხრიდან დაწესებულებისთვის საკუთარი პოზიციის წარდგენის შესაძლებლობის მიცემისა და საბჭოს მიერ წარმოების მასალების შესწავლის ხარისხის შეფასების საშუალო მაჩვენებელი, ხოლო, წარმოდგენილ კომპონენტებს შორის, შედარებით დაბალი მაჩვენებელი შეესაბამება საბჭოს მიერ დაფიქსირებული მოსაზრებებისა და შეფასებების დასაბუთებულობას. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მიერ შესრულებული სამუშაოს ხარისხი, საქმიანობის შემადგენელი კომპონენტების მიხედვით, თანაბრად, მაღალი ხარისხით ფასდება;
- პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების წარმოების ფარგლებში, საბჭოს აპარატისა და ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესრულებული სამუშაოს ხარისხი, მისი შემადგენელი კომპონენტების შესაბამისად მაღალი ხარისხით შეფასდა. განსაკუთრებით მაღალია ექსპერტების შეფასების მაჩვენებელი ეთიკის ნორმების დაცვის მიმართულებით, ხოლო, შეფასების შედარებით დაბალი მაჩვენებელი შეესაბამება დაწესებულების რესურსების შემოწმების ხარისხს;
- დარგობრივი საბჭოების საქმიანობის ყველა წარმოდგენილი კომპონენტის შესაბამისად, საბჭოს მუშაობა მაღალი ხარისხით ფასდება. მათ შორის, ძალიან მაღალი ხარისხით ფასდება საბჭოს მხრიდან ინიციატორისთვის საკუთარი პოზიციის წარდგენის შესაძლებლობის მიცემა. კომპონენტებს შორის შედარებით დაბალი მაჩვენებელი (თუმცა მაღალი ხარისხის რანგის) შეესაბამება საბჭოს სხდომების ფარგლებში, საბჭოს წევრების მიერ დარგობრივი მახასიათებლისა და განსახილველი საკითხებისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევას. საბჭოს საქმიანობის მიმართულებით გასაუმჯობესებელ საკითხებად საბჭოს წევრები წევრების შერჩევის კრიტერიუმებს ასახელებენ, ასევე, საბჭოს წევრებს შორის მეტ კომუნიკაციას; ცენტრის მხრიდან სამუშაო შეხვედრების ფასილიტაციას, სფეროში არსებული საერთაშორისო გამოცდილებების გაზიარებას და სხვა;
- ცენტრის მიმღების თანამშრომლების კომპეტენტურობისა და ეთიკურობის ნაწილში მიღებული შეფასებები მაღალი ხარისხის აღმნიშვნელია. განსაკუთრებით ეთიკურობის ნაწილშია შეფასების მაღალი მაჩვენებელი. მიმღების მომსახურებასთან დაკავშირებით გასაუმჯობესებელ საკითხებად, ძირითადად, აღინიშნა თანამშრომლების გადამზადება მომხმარებლისთვის საჭირო ინფორმაციით აღჭურვისთვის, თანამშრომლების მხრიდან მომხმარებლის საჭიროებით დაინტერესების ხარისხის გაზრდა, მიმღებში გრძელი რიგის პრევენცია და რეგულირება;
- ცენტრში სერვისების შესაბამისად შეთავაზებული კონსულტაციების ფარგლებში, კონსულტაციის გამწევი პირის/პირების ეთიკურობისა და კომპეტენტურობის კომპონენტი ძალიან მაღალი და მაღალი ხარისხით ფასდება. განსაკუთრებით მაღალია შეფასება კონსულტაციის გამწევი პირების ეთიკურობასთან დაკავშირებით.

ცენტრის მუშაობის ხარისხი დაწესებულებების შესაძლებლობების გაძლიერებისა და ხარისხის კულტურის დანერგვის ხელშეწყობის მიმართულებით და სერვისების მიხედვით, საერთო ჯამში, ასევე, მაღალი ხარისხით ფასდება. დაწესებულებების შესაძლებლობების გაძლიერებისა და ხარისხის კულტურის დანერგვის ხელშეწყობის მიმართულებით, ცენტრის მხრიდან გასაუმჯობესებელ საკითხებად დასახელდა ხშირი კონსულტაციების საჭიროება; პსდ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის მიმართულებით, ასევე, უსდ-ებისთვის ხარისხის შიდა მექანიზმების გამოყენების აუცილებლობასთან დაკავშირებით ტრენინგების ჩატარება და შესაბამისი დაწესებულებებისთვის ხარისხის კულტურის დანერგვის კარგი პრაქტიკების გაზიარება.
ცენტრის საგანმანათლებლო სერვისებთან დაკავშირებით (განათლების აღიარების სერვისების ნაწილში), საერთო ჯამში, როგორც დოკუმენტაციის წარდგენის პროცესის, ასევე, მიმღების მომსახურების, ცენტრის საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესების შესახებ ღია კითხვების ფარგლებში მიღებული განმარტებები, ძირითადად ცენტრის მხრიდან ინფორმაციის გაცემის საკითხით უკმაყოფილებაზეა მიმართული - მიზანშეწონილია ცენტრის მხრიდან აღნიშნულის მიზეზების მოკვლევა - არსებული პრაქტიკით, რამდენად სრულყოფილად მიმდინარეობს მომხმარებლების ინფორმირება წარმოების შემადგენელი ეტაპების, პროცედურების და ცენტრის პასუხისმგებლობის ფარგლების თაობაზე.
დარგობრივი მახასიათებლების პროექტის საჯარო განხილვების ეფექტურ განხორციელებასთან დაკავშირებით, გასაუმჯობესებელ საკითხებზე წარმოდგენილი მოსაზრებების საფუძველზე, დაინტერესებული მხარეების სხდომებში ჩართულობის გაზრდის მიზნით, მიზანშეწონილია მსჯელობა ცენტრის მიერ ინფორმაციის გავრცელების არსებული მექანიზმების გაუმჯობესებაზე (მაგ., ინფორმაციის გავრცელების არხებისა და სიხშირის გაზრდაზე; დაინტერესებული მხარეების საკონტაქტო ინფორმაციის ბაზის დახვეწაზე).

სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების პროცესის ანალიზი

სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების პროცესის ანალიზი 2022 წლის სამოქმედო გეგმის ფარგლებში განხორციელდა. ანალიზის ძირითადი მიზანი იყო გამოევლინა 2021-2025 წლების სტრატეგიის და მისი სამოქმედო გეგმების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების პროცესის კარგი პრაქტიკები, სუსტი და გასაუმჯობესებელი მხარეები.
ანალიზის პირველი ნაწილი დაეთმო ცენტრში არსებული სტრატეგიის დაგეგმვის, სამოქმედო გეგმის შემუშავების და მონიტორინგისა და შეფასების პრაქტიკის აღწერას. ამ მიზნით შეფასდა ცენტრის სტრატეგიის და სტრატეგიის დანერგვის სამოქმედო გეგმის შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესი, მონიტორინგის ელექტრონული სისტემის სახელმძღვანელო დოკუმენტი და მიმოხილულ იქნა ცენტრში არსებული პრაქტიკა პროცესების მიმართულებით. დოკუმენტის მეორე ნაწილი დაეთმო პროცესის შესახებ ცენტრის სტრუქტურული ერთეულებიდან და კურატორი მოადგილეებისგან მიღებულ უკუკავშირს. ჩატარდა ინტერვიუები ფოკუს ჯგუფებთან, სიღრმისეული ინტერვიუები, რომლებშიც შედიოდნენ იმ სამსახურების წარმომადგენლებთან, რომლებიც ყოველწლიურად მუშაობენ აქტივობების გაწერაზე და ამზადებენ ანგარიშებს. ასევე, ჩატარდა სიღრმისეული ინტერვიუები აქტივობების შემფასებლებთან და ცენტრის დირექტორის მოადგილეებთან.
სამოქმედო გეგმის შემუშავების ეტაპზე გამოიკვეთა რამდენიმე გასაუმჯობესებელი მიმართულება. კერძოდ, აქტივობების ფორმულირების ეტაპზე, სამსახურების მხრიდან ძირითადი დამაბრკოლებელი ფაქტორი იყო არასწორად გაწერილი აქტივობა. ანალიზისას გამოიკვეთა, რომ აქტივობაში იგულისხმებოდა იმაზე მეტი ფუნქცია, რაც რეალურად გააჩნდა კონკრეტულ სამსახურს. ანალიზის შედეგად, ყველაზე ხშირად იკვეთებოდა არასაკმარისი დროითი რესურსის განსაზღვრა კონკრეტული

აქტივობების შესასრულებლად. სამსახურებს წარმოდგენილ აქტივობებში არასწორად ჰქონდათ მითითებული პასუხისმგებელი პირები. ეს პრობლემა ძირითადად იკვეთებოდა მხარდამჭერი სამსახურების შემთხვევაში. შედეგად, აქტივობის შეუსრულებლობა სხვა სამსახურის პასუხისმგებლობად აღინიშნა. ამასთან, ნაწილობრივ შესრულებული და შეუსრულებელი აქტივობების სტატუსი ასევე გამოწვეული იყო მარეგულირებელი დოკუმენტების არარსებობით, რაც ცენტრის სტრუქტურულ ერთეულებზე არ იყო დამოკიდებული. გამომდინარე იქიდან, რომ ვერ მოესწრო რიგი საკანონმდებლო ცვლილებების მიღება, რაც კონკრეტული წლისთვის იყო დაგეგმილი, ცენტრის სტრუქტურულმა ერთეულებმა ვერ შეძლეს დაგეგმილი აქტივობების განხორციელება. პორტალზე ანგარიშგების პროცესის შეფასებისას, სამსახურის წარმომდგენლებმა აღნიშნეს, რომ პორტალის ტექნიკური დავალება საჭიროებს დახვეწას და ფუნქციების უფრო მეტად გაზრდას. გასაუმჯობესებელ მხარედ დასახელდა შეფასების მიმართულებით სამსახურების რეიტინგის მომზადების მეთოდოლოგია. ასევე აღინიშნა, რომ თუ აქტივობა ობიექტური მიზეზების გამო ვერ შესრულდა, ეს რეიტინგებზე არ უნდა აისახოს.

ანალიზის პროცესში შეფასდა მონიტორინგის ელექტრონული პორტალიც. პრაქტიკამ აჩვენა, რომ თითოეული სამსახურის წარმომადგენელი პორტალზე მარტივად მუშაობს, სახელმძღვანელოს დახმარებით ავსებს შესაბამის ველებს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ აქტივობის ანგარიშგებისთვის მუდმივად საჭიროა შეხსენების გაგზავნა. ასევე, პრობლემატურ საკითხად რჩება ანგარიშების შინაარსობრივი მხარე. აქტივობის ანგარიში უნდა მოიცავდეს ორ მთავარ საკითხს, პროცესს, თუ როგორ შესრულდა აქტივობა და შინაარსობრივ საკითხს. ანგარიში აქტივობის ინდიკატორიდან და შესაბამისი მტკიცებულებიდან უნდა გამომდინარეობდეს, რადგან შეფასების პროცესში შემფასებლისთვის ნათელი იყოს სრული სურათი, თუ როგორ შეასრულა სამსახურმა აქტივობა და იყო თუ არა ინდიკატორი გათვალისწინებული. ანალიზისას იკვეთება, რომ რიგ შემთხვევებში ანგარიშებში ხდება აღწერითი სახის ინფორმაცია, რომელიც შემფასებლისთვის ნაკლებად მნიშვნელოვანია და ინდიკატორის შესაბამისად არ ჩანს აქტივობის შესრულება. ასეთ შემთხვევებში, საკითხების დაზუსტების მიზნით, შემფასებელს უწევს აქტივობაზე პასუხისმგებელთან დამატებითი კომუნიკაცია. გარდა ამისა, სამსახურების მიერ სრულად არ ხდება იმ მტკიცებულებების ატვირთვა, რომლებიც დამტკიცებულ სამოქმედო გეგმაშია მითითებული. შესაბამისად, სამსახურებთან დამატებითი კომუნიკაციისას ხდება ინფორმაციის დაზუსტება. აღსანიშნავია რომ შეფასებისას ვეღარ ხდება აქტივობაზე სრული პროცენტის მინიჭება, რადგან ვადის დასრულების შემდეგ სისტემა აღარ აძლევს შემსრულებელს ცვლილების და დამატებითი დოკუმენტის ატვირთვის საშუალებას.

ჩართულმა მხარეებმა შეაფასეს სტრატეგიის შემუშავების, სამოქმედო გეგმების შემუშავების და მონიტორინგის პროცესი. მათი პერსპექტივიდან დასახელდა რამდენიმე გასაუმჯობესებელი მხარეც. აღინიშნა, რომ შესაბამისი კომპეტენციით სრულად არიან წარმოდგენილნი 2021-2025 წლების სტრატეგიაში. თითოეული სამსახურის როლი კი გაზრდილია როგორც სტრატეგიის შემუშავებაში, ასევე, მის განხორციელებაში. აღნიშნეს, რომ ევროკავშირის პროექტი Twinning-ის ჩართულობა დოკუმენტის შემუშავების ყველა ეტაპზე მათთვის მნიშვნელოვანი მხარდაჭერა იყო. პროექტის როლი საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების კუთხით კი სტრატეგიას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა. სტრატეგიის შემუშავების პროცესი მიმდინარეობდა Twinning-ის ექსპერტების რეკომენდაციების შესაბამისად. ასევე, სამუშაო ჯგუფი ENQA-ს რეკომენდაციების შესრულების გარშემო იყო ფოკუსირებული. ამასთან, კოორდინაციის პროცესი შეაფასეს როგორც მოქნილი, დროში გაწერილი და შედეგზე ორიენტირებული. ასევე, დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების პროცესში გამოყოფილი რესურსი შეფასდა რელევანტურად. მიზნების და ამოცანების შესაბამისი აქტივობების შემუშავებამ და საბოლოო შედეგზე ორიენტირებამ სტრატეგია მეტად ღირებული გახადა. არსებული დოკუმენტი არაა მხოლოდ ფორმალური ხასიათის, არამედ მის გარშემო ხდება პროცესების და სამსახურებს აძლევს საშუალებას წლიდან წლამდე განვითარდნენ. აქვე აღინიშნა, რომ სტრატეგიის

შემუშავება, მიზნების და ამოცანების მიხედვით, აქტივობების დაგეგმვა და შესრულება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ცენტრში არსებული მონიტორინგის სისტემის მეშვეობით, რომელშიც გაწერილია აქტივობის ვადები და მათი შეფასება სისტემის დახმარებით ხდება. სტრატეგიის დაგეგმვის პროცესში სუსტ მხარედ დასახელდა ცენტრში ამ ტიპის დოკუმენტებზე მუშაობის არასაკმარისი გამოცდილება. რესპონდენტებმა პროცესი კომპლექსურად, მაგრამ საინტერესოდ შეაფასეს.

სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესი სტრუქტურული ერთეულების მხრიდან უფრო დეტალურად ფოკუს ჯგუფის ფორმატში განიხილეს. პროცესი, ასევე, დაგეგმვის, კვლევის და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის კონსულტაციები, სამოქმედო გეგმის შემუშავების ყველა ეტაპზე დადებითად შეფასდა. ზოგად გამოწვევად აღინიშნა სხვადასხვა უწყებების სამოქმედო გეგმებში ცენტრისთვის მიკუთვნებული აქტივობები, რომლების განსაზღვრის დროს ნაკლებია ცენტრის ჩართულობა. სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში კომუნიკაციის ნაწილი ნაყოფიერად შეფასდა სამსახურების წარმომდგენლების მიერ. სამსახურების მხრიდან აღინიშნა, რომ დაგეგმვის ეტაპზე მეტნაკლებად იციან მომავალი წლისთვის რა ვალდებულებები აქვთ შესასრულებელი. თუმცა, ასევე აღინიშნა, რომ შესაძლოა აქტივობის შესრულების 10 ეტაპზე ცვლილებების საჭიროება დადგეს, რადგან გარემოება შეიცვალოს, რაც უშუალოდ სამსახურზე არ იყოს დამოკიდებული. მხარდამჭერი სამსახურების წარმომადგენლების მიერ აღინიშნა, რომ მათ ყველა ძირითად პროცესთან, პირდაპირ თუ ირიბად აქვთ ბმა, რესურსების უზრუნველყოფის თუ სხვა მიმართულებით. აღინიშნა, რომ როდესაც სამსახურები მუშაობენ წლის სამოქმედო გეგმაზე, მათ მიერ ყოველთვის არ ხდება ვადების და საქმის შეთანხმება დამხმარე სტრუქტურულ ერთეულებთან. შესაბამისად, წლის განმავლობაში აწყდებიან დაუგეგმავ პროცესებს.

წლიური ანგარიშის მომზადების პროცესის შეფასებისას რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ დოკუმენტი მოიცავს ცენტრის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს. მისი შემუშავების პროცესში ჩართულები არიან სამსახურის თანამშრომლები და ანგარიშის ჩარჩოს ქვეთავის შესაბამისად ამზადებენ შესრულების ანგარიშებს.

სიღრმისეული ინტერვიუების ფორმატში, ცენტრის დირექტორის მოადგილეებმა მათი პერსპექტივიდან იმსჯელეს როგორც დაგეგმვის, ასევე მონიტორინგის პროცესებთან დაკავშირებით. შემფასებლის პერსპექტივიდან სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესი, რომელიც ეტაპებადაა დროში გაწერილი, ეფექტურად და გონივრულად შეფასდა.

ძირითადი მიგნებების შედეგად გაიწერა რეკომენდაციები, დაგეგმვის მიმართულებით, მონიტორინგისა და შეფასების მიმართულებით, რეკომენდაციები (ტექნიკური მიმართულებით) ელექტრონული პორტალისთვის. აღნიშნული რეკომენდაციების გათვალისწინება გააუმჯობესებს ცენტრში არსებულ დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების პრაქტიკას. აღსანიშნავია, რომ ცენტრმა 2023 წლის სამოქმედო გეგმის შემუშავებისას გაითვალისწინა აღნიშნული ანალიზის შედეგები.

საერთაშორისო თანამშრომლობის ანალიზი

საერთაშორისო თანამშრომლობის ანალიზის ფარგლებში თავდაპირველად შემუშავდა საერთაშორისო თანამშრომლობის ანალიზის კონცეფცია, მომზადდა ანალიზის სამიზნე ორგანიზაციების სია, საკონტაქტო სამსახურების/პასუხისმგებელი პირების ჩამონათვალი. ანალიზისთვის საჭირო ინფორმაციის მოთხოვნის მიზნით კომუნიკაცია შედგა ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის საგანმანათლებლო სერვისების განვითარების და კვალიფიკაციების განვითარების სამსახურებთან. შემდგომი სამუშაოები მიეძღვნა ანალიზის ჩატარებას - საკონტაქტო სამსახურებისგან/პირებისგან მიღებული, ასევე ცენტრში არსებული შესაბამისი დოკუმენტების (მემორანდუმების/ პარტნიორობის დოკუმენტების, პროექტების, ცენტრის წლიური ანგარიშების),

შესაბამის ოფიციალურ ვებგვერდზე წარმოდგენილი ინფორმაციის ანალიზს. გარდა ამისა, ანალიზის მომზადებული დოკუმენტები პროცესებში ჩართულ პირებს უკუკავშირისთვის ეგზავნებოდათ. შედეგად, მომზადებული ანალიზის დოკუმენტი ფარავს ცენტრის საერთაშორისო თანამშრომლობის საკითხებს შემდეგი 7 მიმართულებით: ბოლონიის პროცესში მონაწილეობა, თანამშრომლობა ევროპული საინფორმაციო ცენტრებისა და ეროვნული აკადემიური აღიარების საინფორმაციო ქსელთან (ENIC-NARIC Network), უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაციის (ENQA) წევრობა, ევროპის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის რეესტრში (EQAR) ცენტრის რეგისტრაცია, ესტონეთის უმაღლესი და პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოსთან (EKKA) პარტნიორობა, საერთაშორისო ინსპექტორიატების მუდმივმოქმედ კონფერენციაში (SICI - The Standing International Conference of Inspectorates) გაწევრიანება და საერთაშორისო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ ინსტიტუციებთან პარტნიორობა (International Baccalaureate (IB), Quality School International (QSI), Cambridge Assessment International Education, SABIS). გაანალიზებულია ცენტრის საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში არსებული შესაძლებლობები, თანამშრომლობით მიღებული და მოსალოდნელი სარგებელი, როგორც ცენტრის საქმიანობის, ასევე, ეროვნულ დონეზე განათლების ხარისხის განვითარების სისტემის მიმართულებით.

ცენტრის ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია

ცენტრმა, 2022 წლის 26, 27 და 28 იანვარს, ონლაინრეჟიმში, ZOOM პლატფორმის გამოყენებით წლიური საერთაშორისო კონფერენცია გამართა. კონფერენციის პირველი დღე უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფას დაეთმო. კონფერენციაზე წარდგენილ იქნა უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების 2021 წლის შედეგები და სამომავლო პერსპექტივები. მომხსენებლებმა განიხილეს უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის განვითარების მიმართულებით მიღწევები და გამოწვევები, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების შიდა ხარისხის უზრუნველყოფის ხელშეწყობის მექანიზმები, გარე ხარისხის უზრუნველყოფის მეშვეობით, კლინიკური სწავლების მნიშვნელობა, სტუდენტების, პაციენტებისა და პედაგოგების თანაფარდობასთან დაკავშირებული გამოწვევები, მედიცინის განახლებული დარგობრივი მახასიათებლის სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის (WFME) 2020 წლის სტანდარტების მიხედვით, პანდემიის შემდეგ ევროპული უმაღლესი განათლების სივრცე. იმსჯელეს სადოქტორო განათლების ხარისხის განვითარებაზე - თანამედროვე ევროპული პერსპექტივები, უნივერსიტეტების როლი რეგიონების განვითარებაში. იმსჯელეს 21-ე საუკუნის უნივერსიტეტის კონცეფციასა და მისიაზე. განიხილეს შემდეგი თემები: უმაღლესი სკოლა ზოგადი და პროფესიული განათლების განვითარების მხარდასაჭერად; უნივერსიტეტების მესამე მისიის მნიშვნელობა და განვითარება უმაღლეს განათლებაში; სტუდენტების გამოწვევები პანდემიის მიმდინარეობისას; პროფესიული და უმაღლესი განათლების დაკავშირების პერსპექტივები; 2020 წელს გამოვლენილი ლიდერობის 5 უმნიშვნელოვანესი ასპექტი: კომუნიკაცია, გამჭვირვალობა, ინკლუზიურობა, მოქმედება და კეთილდღეობა.

კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს ცენტრის საერთაშორისო პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის (WFME) პრეზიდენტმა დევიდ გორდონმა, უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაციის (ENQA) წარმომადგენელმა გორან დაკოვიჩმა, ევროპის უმაღლესის განათლების ხარისხის უზრუნველყოფის რეესტრის (EQAR) დირექტორმა კოლინ ტაკმა, ევროპის უნივერსიტეტების ასოციაციის (EUA) უმაღლესი განათლების პოლიტიკის დეპარტამენტის დირექტორმა მაიქლ გებელმა, ევროპული უნივერსიტეტების ასოციაციის (EUA) სადოქტორო განათლების საბჭოს თავმჯდომარემ ალექსანდერ ჰასგალმა, ევროპის სტუდენტთა გაერთიანების (ESU) წარმომადგენელმა მერალ ნურმა, არკანზასის

უნივერსიტეტის პროფესორმა ჯონ პიჯანოვსკიმ და ლონდონის უნივერსიტეტის კოლეჯის განათლების ინსტიტუტის პროფესორმა კარენ ეჯიმ.
კონფერენციის მეორე დღე დაეთმო ზოგადი განათლების საკითხების განხილვას. კონფერენციაზე იმსჯელეს ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის განვითარების კუთხით მიღწევებსა და გამოწვევებზე. განიხილეს ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით 2021 წელს განხორციელებული აქტივობები, ესტონეთსა და საქართველოს შორის თანამშრომლობა ზოგადი განათლების სფეროში, მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის მიმდინარეობა და სამომავლო ხედვა, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების თვითშეფასების ელექტრონული სისტემის პლატფორმა, მასწავლებელთა კვალიფიკაციისა და პროფესიული განვითარების მიმართულებით განხორციელებული და დაგეგმილი ცვლილებები, ისაუბრეს უსაფრთხო სკოლაზე, ევროპულ სკოლაში განსხვავებული კურიკულუმის, პრაქტიკისა და გამოცდილების თავისებურებანი და განხორციელების სპეციფიკა, ვალდორფის კურიკულუმის თავისებურებები. კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, უმაღლესი, პროფესიული და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების, რესურსცენტრების, ასევე სხვა პარტნიორი ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, ავტორიზაციის, სააპელაციო საბჭოების წევრებმა და სხვა დაინტერესებულმა მხარეებმა.
კონფერენციის მესამე დღე დაეთმო პროფესიულ განათლების ხარისხის უზრუნველყოფას. ევროპის განათლების ფონდის (ETF), ადამიანური კაპიტალის უფროსმა, ექსპერტმა მოუნირ ბაატმა ისაუბრა პროფესიული განათლების ხარისხის ევროპული სტანდარტების დანერგვასა და ამ კუთხით საქართველოსთან თანამშრომლობის არსებულ და სამომავლო პერსპექტივებზე. ამასთან, კონფერენციაზე წარმოადგინეს ცენტრის 2021 წლის საქმიანობის შედეგები, განიხილეს პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის განვითარების კუთხით მიღწევები და გამოწვევები. მათ შორის, წარმოადგინეს გაეროს განვითარების პროგრამის „საქართველოში სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული პროფესიული განათლების მოდერნიზაცია ფაზა 2“-ის შედეგები, ა(ა)იპ - პროფესიული უნარების სააგენტოსა და ცენტრის თანამშრომლობის როლი პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებების თვითშეფასების ანგარიშის ელექტრონული პორტალი.

ასევე, კონფერენციის მსვლელობისას გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის ორი მემორანდუმი: სსიპ - გარემოს დაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს შორის და ცენტრსა და სსიპ-დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს შორის.

თავი II. უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფა

ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესების განვითარება

2022 წელი უმაღლესი განათლების სისტემისთვის გამორჩეული იყო მნიშვნელოვანი ინიციატივებითა და შედეგებით, რაც არსებითია უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების წახალისებისა და თანმიმდევრული განვითარებისათვის. სიახლეები ძირითადად უკავშირდება უმაღლესი განათლების ერთიან ევროპულ სისტემასთან ჰარმონიზაციის მიზნით, კლასტერული აკრედიტაციის სისტემის დანერგვასა და განხორციელებას. კლასტერული აკრედიტაციის ფარგლებში, ყოველწლიურად შეფასდება წინასწარ განსაზღვრულ დარგებში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამები.

კლასტერული აკრედიტაციის სისტემის მოდელი საშუალებას მოგვცემს, რომ ცენტრის მიერ განათლების გარე ხარისხის შეფასების პროცესების დაგეგმვა გახდეს უფრო ეფექტური, რომლის კვალდაკვალ, ექსპერტთა კორპუსს მიეცემა შესაძლებლობა, რომ შეფასებები განახორციელოს სისტემის დონეზე პროგრამების მსგავსებისა და თავისებურებების გაანალიზების ჭრილში. აღნიშნული მიდგომა კიდევ უფრო ნათლად წარმოაჩენს უნივერსიტეტის ფარგლებში ერთი სფეროს პროგრამებს შორის არსებულ კავშირებს, მათთვის დამახასიათებელ ინდივიდუალურ და საერთო ნიშნებს, რაც ნათლად წარმოაჩენს ინსტიტუციის დონეზე სფეროს განვითარების საჭიროებებსა და შესაძლებლობებს.

კლასტერული აკრედიტაცია ცენტრის ხედვის შესაბამისად გარე ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების მოდერნიზების პირველი ეტაპია. კლასტერულ აკრედიტაციაზე სისტემის გადასვლის თანმდევად, დაგეგმილია ინსტიტუციური ავტორიზაციის და სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების გარე ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განვითარება.

კლასტერული აკრედიტაციის სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებით, საქართველოს პარლამენტმა 2022 წლის 30 მარტს მიიღო "განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონში და "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებები, რომელმაც კლასტერული აკრედიტაციის დასაწყებად შექმნა საკანონმდებლო საფუძვლები. ამასთან, შემუშავდა აკრედიტაციის განახლებული პროცედურები, აკრედიტაციის სტანდარტები, აკრედიტაციის საფასურები და საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერში დაჯგუფების წესი.

განახლებული აკრედიტაციის დებულება და საფასურები „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №83/ნ, 07/07/2022 ბრძანებით დამტკიცდა.

კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, ცენტრს მიენიჭა უფლებამოსილება, განახორციელოს უცხოეთში მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და საგანმანათლებლო პროგრამების საერთაშორისო შეფასება.

2022 წლის განმავლობაში, ჰუმანიტარული სფეროს დარგობრივი მახასიათებლების შემუშავებამ მნიშვნელოვნად წაახალისა ჰუმანიტარული მეცნიერებების სფეროების საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის განვითარება.

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში განათლების მიმართულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით, დაიგეგმა სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებისა და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების სრულყოფა და განვითარება. შესაბამისად, დაწესებულებებისგან მიღებული უკუკავშირების საფუძველზე, გადამუშავდა სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩო-დოკუმენტის პროექტი, რომლის დამტკიცებაც 2023 წლისთვის იგეგმება.

2022 წელს, კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაცია სავალდებულო გახდა. შესაბამისად, აღნიშნულმა ცვლილებამ განაპირობა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების გადახედვის საჭიროება.

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ექსპერტთა ვიზიტები, ადმინისტრაციული წარმოებები

2022 წელს, COVID-19 პანდემიის რისკებიდან გამომდინარე, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ვიზიტები ხორციელდებოდა, როგორც ჰიბრიდულ, ასევე დაწესებულებაში ადგილზე ვიზიტის რეჟიმში, რაც გულისხმობს ინტერვიუების ონლაინ, პლატფორმა Zoom-ის საშუალებით ჩატარებას და მატერიალური რესურსების ინსტიტუციაში მონახულებას, ხოლო საბჭოს სხდომები ხორციელდებოდა დისტანციურად.

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა ავტორიზაციის, აკრედიტაციისა და სააპელაციო საბჭოს სხდომები, მათ შორის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 14 სხდომა, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 83 სხდომა და სააპელაციო საბჭოს 3 სხდომა. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭომ განიხილა - 488 საკითხი; მათი განხილვის შედეგად, საბჭომ მიიღო შემდეგი სახის გადაწყვეტილებები: აკრედიტაცია მიენიჭა - 193 საგანმანათლებლო პროგრამას; პირობითი აკრედიტაცია მიენიჭა - 13 საგანმანათლებლო პროგრამას; აკრედიტაციის მინიჭებაზე უარი ეთქვა - 2 საგანმანათლებლო პროგრამას; მონიტორინგის შედეგად წარმოება შეწყდა 104 საგანმანათლებლო პროგრამაზე; რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა განხორციელდა 130 საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებაში; 34 გადაწყვეტილებაში შევიდა ცვლილება.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის წარმოებები:

გრაფიკი 2:



უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭომ მიიღო 41 გადაწყვეტილება, მათ შორის: უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის ავტორიზაციის მინიჭების შესახებ 4 გადაწყვეტილება, უარი ავტორიზაციის მინიჭებაზე 1 გადაწყვეტილება, მონიტორინგის ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ 31 გადაწყვეტილება; ავტორიზაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის ცნობად მიღების შესახებ - 3 გადაწყვეტილება; გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორება - 2 შემთხვევა.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის წარმოებები:

გრაფიკი 3:



სააპელაციო საბჭომ მიიღო 3 გადაწყვეტილება; 1 გადაწყვეტილება ეხებოდა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების აკრედიტაციის საბჭოსთვის უკან დაბრუნებას; 1 გადაწყვეტილება ეხებოდა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებაზე წარმოდგენილი საჩივრის წარმოებაში მიღებას, ხოლო 1 გადაწყვეტილება იყო უარი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე წარმოდგენილი საჩივრის წარმოებაში მიღებაზე.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მხარდამჭერი ღონისძიებები (ტრენინგები, კონსულტაციები, სამუშაო შეხვედრები, სახელმძღვანელოები და სხვა)

2022 წლის მარტისა და აპრილის თვეში, ონლაინრეჟიმში გაიმართა სამუშაო შეხვედრების ციკლი იმ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებთან, რომლებსაც უწევდათ სააკრედიტაციო განაცხადების წარმოდგენა ცენტრში ჰუმანიტარული მეცნიერებების სფეროს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერში დაჯგუფებული სახით.

შეხვედრები 15-მდე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან გაიმართა, რომელსაც 200-ზე მეტი მონაწილე დაესწრო. შეხვედრის ფარგლებში განიხილეს „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონში შესული ძირითადი ცვლილებები, დაწესებულების მიერ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერში დაჯგუფების ძირითადი მიდგომები, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის განახლებული სტანდარტების და პროცედურების პროექტები, ჰუმანიტარული მეცნიერებების სფეროებში დამტკიცებული დარგობრივი მახასიათებლები, ასევე აკრედიტაციის თვითშეფასებისა (ინდივიდუალური კლასტერული) და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ფორმები.

2022 წლის დეკემბერში, ცენტრმა საქართველოში მოქმედი უსდ-ებისათვის ტრენინგების ციკლს გაუწია ორგანიზება შემდეგ თემებზე:

- ✓ უსდ, სახელმწიფო და შრომის ბაზარი - დაინტერესებულ მხარეთა მჭიდრო თანამშრომლობა;
- ✓ სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის ჩართვა შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში;
- ✓ აკადემიური თავისუფლების შეფასების პრაქტიკები ხარისხის უზრუნველყოფის შეფასების პროცესში;

- ✓ სადოქტორო პროგრამების შეფასების პრაქტიკები ევროპის ქვეყნებში, ხარისხის უზრუნველყოფის ტენდენციები და EQAF ანგარიშები.

აკრედიტაციის სტანდარტების ცვლილებების თანმდევად, განახლდა აკრედიტაციის სტანდარტების შეფასების სახელმძღვანელო და საჯაროდ გამოქვეყნდა.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა კორპუსი

2022 წელს, განახლდა ექსპერტთა საქმიანობის წესი და თანმიმდევრულად გაიზარდა მათი ანაზღაურება. კლასტერული აკრედიტაციის ცვლილებების ფარგლებში, ცენტრის დირექტორის 2022 წლის 30 აგვისტოს №964009 ბრძანებით დამტკიცდა „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესი" განახლებული სახით.

„ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა კორპუსის წევრების საქმიანობის ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ ცენტრის დირექტორის 2018 წლის 06 მარტის №169 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ” ცენტრის დირექტორის №1149787, 23/09/2022 ბრძანებით დამტკიცდა ექსპერტთა ანაზღაურების განახლებული წესი.

კლასტერული აკრედიტაციის ფორმატთან მორგების მიზნით, დამტკიცდა თვითშეფასების ანგარიშებისა (ინდივიდუალური, კლასტერული) და ექსპერტთა დასკვნის ფორმები, რომლებიც ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

გარე ხარისხის შეფასების ეფექტიანობისა და კორპუსის განვითარების მიზნით, 2022 წელს ჩატარდა ჰუმანიტარული მეცნიერებების სფეროების აკრედიტაციის ექსპერტთა ატესტაცია. ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა კორპუსებს 132 ექსპერტი დაემატა, მათ შორის, 26 საერთაშორისო და 5 განათლების ექსპერტი.

აკრედიტაციის ექსპერტთა პროფესიული განვითარების მიზნით, 2022 წლის 15 და 18 ივლისს, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დარგის აკრედიტაციის ექსპერტებისათვის და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთათვის გაიმართა შეხვედრები/ტრენინგები. შეხვედრების მონაწილეები გაეცნენ განახლებული კლასტერული აკრედიტაციის სტანდარტებს და პროცედურებს, ასევე სამუშაო ჯგუფის ფორმატში იმსჯელეს საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერული შეფასების სპეციფიკაზე და მიდგომების ჩამოყალიბებაზე.

სხვა მნიშვნელოვანი საქმიანობა

TAIEX-ის პროექტის ფარგლებში, 2022 წლის 15-16 დეკემბერს ცენტრმა საქართველოში მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების უმრავლესობას საშუალება მისცა დასწრებოდნენ ევროკომისიის დაფინანსებით ორგანიზებულ სემინარს, რომელიც ხარისხის აუდიტისა და დაწესებულების შიდა ხარისხის უზრუნველყოფის თემებს მიეძღვნა. პროექტის ფარგლებში საქართველოს ესტუმრნენ ჰელკა კეკალაინენი (FINEEC-ის უმაღლესი განათლების სამსახურის ხელმძღვანელი) და მარკ ფრედერიკსი (NVAO-ს პოლიტიკის მრჩეველი).

თავი 3. პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო დაწესებულებებში ექსპერტთა ვიზიტები, ადმინისტრაციული წარმოებები

2022 წელს, სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულმა 8 საგანმანათლებლო დაწესებულებამ ხელახალი ავტორიზაცია გაიარა (სულ 138 პროგრამით), 5-მა კერძო დაწესებულებამ (18 პროგრამით) გაიარა ხელახალი ავტორიზაცია, ასევე, ერთი ახალი ავტორიზებული კოლეჯი გაჩნდა 1 პროგრამით. 18-მა საგანმანათლებლო დაწესებულებამ დაიმატა 28 ახალი პროგრამა (მათ შორის 6 კერძო კოლეჯის მიერ მოხდა 6 პროგრამის დამატება). 2022 წლის მონაცემებით, ხორციელდება 68 დუალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, მათ შორის, 6 დუალურ პროგრამას ახორციელებენ კერძო კოლეჯები.
2022 წელს, დაემატა ინტეგრირებული პროგრამები და 2022 წლის მონაცემებით სისტემაში დანერგილია 85 ინტეგრირებული პროგრამა 26 საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ადგილების რაოდენობა ამ პროგრამებზე შეადგენს 2,760-ს.
სამსახურის მიერ წლის განმავლობაში განხორციელებული ადმინისტრაციული წარმოებების ჯამური რაოდენობაა 127. აქედან: 15 ავტორიზაცია, 40 მონიტორინგი და სხვა ადმინისტრაციული წარმოებები 72 (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატება ჯამი - 27; ინტეგრირებული პროგრამის დამატება - 4; პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის გაზრდა - 31; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება - 10).
წლის განმავლობაში ჩატარდა ავტორიზაციის საბჭოს 29 სხდომა და განიხილეს 158 საკითხი.
2022 წელს, დამატებით, პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლება მოიპოვა ან რეგისტრირებულია 167 პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამა, აქედან 101 რეგისტრირებული/დადასტურებული, ხოლო 66 უფლების მოპოვების გზით დამატებული, დამატებით 12-მა ახალმა იურიდიულმა პირმა გააკეთა განაცხადი.
2022 წელს, აღიარების უფლება დამატებით მოიპოვა 4-მა საგანმანათლებლო დაწესებულებამ და 2022 წლის მონაცემებით, არაფორმალური განათლების აღიარების უფლება მოპოვებული აქვს 8 საგანმანათლებლო დაწესებულებას 11 საგანმანათლებლო სფეროში: ბიზნესი და ადმინისტრირება, ინფორმაციის და კომუნიკაციის ტექნოლოგიები, პერსონალური მომსახურებები, ინჟინერია და საინჟინრო საქმე, უსაფრთხოების უზრუნველყოფის მომსახურებები, განათლება, ჯანდაცვა, არქიტექტურა და მშენებლობა, სოფლის მეურნეობა, წარმოება და გადამუშავება, ხელოვნება.
ჩატარდა პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 21 სხდომა, რომელზეც 116 საკითხი განიხილეს და მიიღეს გადაწყვეტილება - უფლების მოპოვება - 69, უარი პროგრამის განხორციელებაზე - 8, ერთთვიანი ვადის გამოსწორებაზე - 15, მონიტორინგი - 8, ზღვრული რაოდენობის გაზრდა - 4. სულ მიიღეს 96 გადაწყვეტილება.

გრაფიკი 4:



მხარდამჭერი სახელმძღვანელოები, ადმინისტრაციული წარმოებისთვის საჭირო ფორმები

ცენტრის მიერ შემუშავდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებით განსაზღვრული ადმინისტრაციული წარმოების მიზნებისათვის დაწესებულებების მიერ ცენტრში წარმოსადგენი განაცხადების ფორმების პროექტები და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ფორმის პროექტები. სულ - 8 ფორმა. აღნიშნული ფორმების პროექტები შემუშავებულია ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობითა და მათი უკუკავშირის გათვალისწინებით.

ჩატარებული ტრენინგები, კონსულტაციები და სამუშაო შეხვედრები

2022 წლის ივლისსა და ოქტომბერში ჩატარდა ტრენინგები პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით, რამაც ხელი შეუწყო ერთნაირი მიდგომების დანერგვასა და სტანდარტების ერთნაირად აღქმას და საბჭოს გადაწყვეტილებების დასაბუთების გაუმჯობესებას.
ასევე, 2022 წლის 8 და 9 ივლისს, დაბა ბაკურიანში ცენტრის ორგანიზებით გაიმართა სამუშაო შეხვედრა/სემინარი - "პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს შესაძლებლობების გაძლიერება". სემინარის მიზანი იყო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებაში დაგეგმილი ცვლილებების გაცნობა და მოსაზრებების გაზიარება. სემინარი გაიმართა ინტერაქტიულ რეჟიმში, სადაც დამსწრე პირებმა ერთმანეთს გაუზიარეს თავიანთი მოსაზრებები ავტორიზაციის დებულებაში დაგეგმილი ცვლილებების შესახებ, დაგეგმეს სამომავლო აქტივობები, რომლებიც პირდაპირ აისახება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ხარისხის მექანიზმების განვითარებაზე. ასევე, სემინარის ფარგლებში, საბჭოს წევრებმა ისაუბრეს გასული წლების საქმიანობისას გამოვლენილ გამოწვევებზე და დებულებაში შესატანი ცვლილებების მნიშვნელობაზე. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებაში შესატანი ცვლილებები განსახილველად წარედგინება ყველა დაინტერესებულ მხარეს.

2022 წლის 26 ივლისს, ცენტრის ორგანიზებით, გაიმართა ონლაინ შეხვედრა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებების შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით. საკითხის აქტუალობისა და დაწესებულებების მხრიდან შესაბამისი მოთხოვნის დაფიქსირების საფუძველზე, შეხვედრის ფარგლებში განიხილეს პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის - დიპლომის დანართისა და შევსების და პროფესიული მომზადების პროგრამის და პროფესიული გადამზადების პროგრამის სერტიფიკატის დანართის შევსების საკითხები. შეხვედრა, რომელსაც 100 პირი ესწრებოდა, გაიმართა ინტერაქტიულ რეჟიმში. დამსწრე პირებს წარედგინათ პრეზენტაციები და გაზიარდა არსებული გამოცდილება შეხვედრის საკითხებთან დაკავშირებით. შეხვედრის მონაწილეებს მიეწოდათ შესაბამისი გზამკვლევები, რომელიც ასევე ცენტრის ვებგვერდზეა განთავსებული.

ცენტრის ორგანიზებით, მიმდინარე წლის 22 თებერვალს, ონლაინრეჟიმში, ჩატარდა შეხვედრა იმ საგანმანათლებლო დაწესებულებების და იურიდიული პირების წარმომადგენლებისთვის, რომლებიც პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამებს ახორციელებენ. შეხვედრაზე განიხილეს www.tvet.emis.ge (QMS) ელექტრონულ სისტემაში პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების და განაცხადების შემუშავება/ატვირთვის პრობლემური საკითხები. შეხვედრის ფარგლებში, სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემისა და ცენტრის წარმომადგენლებმა დამსწრე პირებს, კითხვა-პასუხის რეჟიმში, ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდეს მათთვის მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით. ასევე, პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების ელექტრონული სისტემის (QMS) გამართულად ფუნქციონირებისათვის ცენტრის მიერ იდენტიფიცირებულია სისტემის ხარვეზები. სისტემის სრულყოფისათვის მომზადებულია და ინიცირებულია წინადადებები. შეხვედრას ესწრებოდა 50-მდე დაწესებულების 94 პირი.

ცენტრის ორგანიზებით, მიმდინარე წლის 28 მარტს, ონლაინრეჟიმში, ჩატარდა შეხვედრა/ტრენინგი საგანმანათლებლო დაწესებულების/იურიდიული პირის შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით. შეხვედრის ფარგლებში ყურადღება გამახვილდა: 1) შრომის ბაზრის ანალიზი/კვლევა; 2) ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონის აღმწერებთან პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის, პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების სწავლის შედეგების შესაბამისობის განსაზღვრის მეთოდოლოგია; 3) ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები. ცენტრის წარმომადგენლებმა დამსწრე პირებს, კითხვა-პასუხის რეჟიმში, ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდეს მათთვის მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით. შეხვედრას ესწრებოდა 45-მდე დაწესებულების 87 პირი. შეხვედრის თემატიკა დაეფუძნა 2021 წელს სამსახურის მიერ ჩატარებულ კვლევებს. 2022 წლის 28 სექტემბერს, Zoom-ის საშუალებით ჩატარდა სამუშაო შეხვედრა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების/იურიდიული პირების შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით. შეხვედრას ესწრებოდა 40-მდე დაწესებულების 100 პირი. შეხვედრის ფარგლებში განხილული იქნა პროფესიული მომზადების პროგრამის და პროფესიული გადამზადების პროგრამის სერტიფიკატის და დანართის შევსების, სერტიფიკატის და სერტიფიკატის დანართის ენობრივი სისწორის პროცედურის საკითხები. კითხვა-პასუხის რეჟიმში დაწესებულებებს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სრული ინფორმაცია მიაწოდეს.

ასევე, 2022 წელს სისტემაში დანერგილი სიახლეების პარალელურად, ცენტრი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებს სთავაზობდა სხვადასხვა სახის საინფორმაციო შეხვედრებს.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა კორპუსი

საანგარიშო პერიოდში, გაეროს განვითარების პროგრამის პროექტის ფარგლებში, გაიმართა პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტთა კონფერენცია. კონფერენცია მიზნად ისახავდა, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტთა შემდგომი პროფესიული განვითარების ხელშეწყობას, საუკეთესო გამოცდილების გაზიარებას, გამოწვევების იდენტიფიცირებას და შემდგომ, იდენტიფიცირებულ გამოწვევებთან გამკლავების გზებისა და რეკომენდაციების წარმოდგენას. კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო ცენტრის წარმომადგენლებისა და ექსპერტთა პრეზენტაციები. კონფერენციაში ხარისხის ექსპერტებთან ერთად, ასევე მონაწილეობა მიიღეს პროფესიული განათლების დარგის ექსპერტებმა, რომლებიც ხარისხის ექსპერტებთან ერთად სამუშაო პანელში ჩაერთნენ. აღნიშნულ სამუშაო პანელში განიხილეს ექსპერტთა და საგანმანათლებლო დაწესებულების საქმიანობასთან დაკავშირებული სხვადასხვა თემები.

ექსპერტთა საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით ხორციელდება მათი საქმიანობის შეფასება. 2022 წელს, სრულად ამოქმედდა ექსპერტთა შეფასების განახლებული სისტემა. ექსპერტთა საქმიანობა ფასდება წინასწარ შემუშავებული და ცენტრის დირექტორის მიერ დამტკიცებული კითხვარების მეშვეობით, ქულათა სისტემით. ექსპერტს აფასებს თითქმის ყველა დაინტერესებული მხარე: ა) დაწესებულება, სადაც კონკრეტულმა ექსპერტმა განახორციელა ადმინისტრაციული წარმოება; *ბ*) კონკრეტულ ადმინისტრაციულ წარმოებაზე პასუხისმგებელი ცენტრის თანამშრომელი; *გ*) ასევე, ხორციელდება ექსპერტთა ჯგუფის ურთიერთშეფასება - თავმჯდომარე აფასებს ჯგუფის წევრ(*ებ*)ს და პირიქით. დაწესებულებების მიერ ექსპერტთა შეფასება ხორციელდება მატერიალური შეფასების ფორმით, ხოლო დანარჩენისთვის ცენტრის მიერ შემუშავებულია შეფასების ელექტრონული ფორმები, სადაც ყველა შემფასებელს შეჰყავს თავისი ქულები კრიტერიუმების მიხედვით და ქულების დაჯამება ავტომატურად ხდება. კრიტერიუმები მოიცავს როგორც ვიზიტის დაგეგმვას, დოკუმენტაციის შესწავლას და ანალიზს, ჯგუფის წევრებისთვის სამუშაოს გადანაწილების პროცესს, ვიზიტის წარმართვას, დასკვნის პროექტის მომზადების ეტაპის დროულად დასრულებას, ასევე, დასკვნის პროექტის სისრულეს, არგუმენტირებული პოზიციის დასაბუთებულ შესწავლას და დასკვნის დროულად წარმოდგენას, საბჭოს სხდომაზე დასკვნის წარდგენის ხარისხს.

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა ექსპერტთა შეფასებების ანალიზი. ანალიზმა აჩვენა, რომ ექსპერტთა შეფასებები მერყეობს 70 - 100 ქულის ფარგლებში, რაც ნიშნავს რომ საექსპერტო საქმიანობისთვის საჭირო კომპეტენცია და უნარები გამოავლინა და მასზე დაკისრებული მოვალეობები შეასრულა სანიმუშოდ ან სრულყოფილად, პროცესი წარმართა მაღალი პროფესიონალიზმითა და პასუხისმგებლობით. იშვიათ შემთხვევებში გვხვდება შეფასებები - 60 – 70 ქულის ფარგლებში, რაც შეიძლება დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს. პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტების საქმიანობის ძლიერ მხარედ მიჩნეულ იქნა გარემოება, რომ ექსპერტთა დასკვნები აღარ არის მხოლოდ აღწერითი ხასიათის და აღარ განიცდის ანალიზის ნაკლებობას. ექსპერტები ავტორიზაციის სტანდარტებიდან გამომდინარე დაწესებულებებს აფასებენ მასშტაბურად და ინსტიტუციური განვითარების თვალსაზრისით. კვლავ სუსტ მხარეს წარმოადგენს ექსპერტთა მხრიდან ავტორიზაციის სტანდარტების სრულფასოვანი გააზრება, დეტალებზე ორიენტირებულობა და ტექნიკურ საკითხებზე კონცენტრირება. დარგის ექსპერტების შემთხვევაში შედარებით დაბალია საექსპერტო საქმიანობის განხორციელებისთვის საჭირო კომპეტენცია და უნარები, შეინიშნება პასუხისმგებლობის ნაკლებობა, პროცესის წარმართვისას აღინიშნება არსებითი შეცდომები.

ექსპერტთა საქმიანობის შეფასების, ასევე, პროცესების მიმდინარეობის ანალიზის საფუძველზე ექსპერტების პროფესიული განვითარების მიზნით, ცენტრმა დაგეგმა და ჩაატარა დარგის ექსპერტთა ტრენინგები, რომლებიც მოიცავდა პრაქტიკულ დავალებებს და აგებული იყო რეალური შემთხვევებზე დაყრდნობით.

პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული პროცესების სრულყოფილად წარმართვისა და შეფასების ერთიანი პრაქტიკის დამკვიდრების, ასევე, ექსპერტების პროფესიულ განვითარების მიზნით ცენტრმა ექსპერტთა კორპუსის წევრებისთვის ჩაატარა არაერთი საკონსულტაციო შეხვედრა.
2022 წელს, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის ექსპერტთა კორპუსის გაძლიერების მიზნით, იმ სფეროებში, რომლებშიც წინა წლებში ჩატარებული კონკურსების ფარგლებში ვერ იქნა შერჩეული დარგის ექსპერტები, ცენტრმა მოიძია დარგის სპეციალისტები და ცენტრის დირექტორს ექსპერტთა კორპუსში შეყვანის მიზნით წარუდგინა. კერძოდ, ექსპერტთა კორპუსს დაემატა სამუსიკო ხელოვნების, სათავგადასავლო ტურიზმის და გამოყენებითი ხელოვნების სფეროების ექსპერტები. ამჟამად, ექსპერტთა კორპუსის შემადგენლობაში შედის 42 პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის და 142 დარგის ექსპერტი.

არაფორმალური განათლება

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა ,,არაფორმალური განათლების აღიარების სერტიფიცირებულ კონსულტანტთათვის სტატუსის მინიჭების შესახებ" ცენტრის დირექტორის 2019 წლის 7 ოქტომბრის №931/ი ბრძანების საფუძველზე სერტიფიცირებული ცხრა კონსულტანტის ხელახალი სერტიფიცირება. კონსულტანტების შერჩევა და ხელახალი სერტიფიცირება მათ მიერ შესრულებული სამუშაოს ანალიზის საფუძველზე მოხდა.
ხელახალი სერტიფიცირების პროცესში მონაწილეობაზე უარი განაცხადა ხუთმა სერტიფიცირებულმა კონსულტანტმა, ხოლო დანარჩენმა ოთხმა წარმატებით დაძლია სერტიფიცირების პროცესი და შემდგომი ხუთი წლით კვლავ მიენიჭათ არაფორმალური განათლების აღიარების სერტიფიცირებული კონსულტანტის სტატუსი.
2022 წელს, არაფორმალური განათლების აღიარების უფლება მოიპოვა დამატებით ოთხმა იურიდიულმა პირმა და ამჟამად არაფორმალური განათლების აღიარების უფლების მქონე დაწესებულებების რაოდენობა შეადგენს რვა დაწესებულებას. არაფორმალური განათლების აღიარების სერვისი ხელმისაწვდომია 11 სფეროში: ბიზნესი და ადმინისტრირება, ინფორმაციის და კომუნიკაციის ტექნოლოგიები, პერსონალური მომსახურებები, ინჟინერია და საინჟინრო საქმე, უსაფრთხოების უზრუნველყოფის მომსახურებები, განათლება, ჯანდაცვა, არქიტექტურა და მშენებლობა, სოფლის მეურნეობა, წარმოება და გადამუშავება, ხელოვნება.
არაფორმალური განათლების აღიარების პროცესი ორ საგანმანათლებლო დაწესებულებაში წარიმართა. არაფორმალური განათლების აღიარების მაძიებელი 21 პირიდან, ერთს უარი უთხრეს აღიარებაზე, 19 პირმა მოიპოვა ნაწილობრივი აღიარება და 1 მაძიებლის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით გათვალისწინებული კვალიფიკაციის მიღწევისთვის აუცილებელი სწავლის შედეგები სრულად დადასტურდა და დაწესებულების მიერ გაიცა კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტი – დიპლომი. არაფორმალური განათლების აღიარება განხორციელდა ინჟინერია და საინჟინრო საქმის და პერსონალური მომსახურებების სფეროებში.
ცენტრის დირექტორის 2022 წლის 16 მაისის №493747 ბრძანებით (ცვლილება - 2022 წლის 27 ივლისის №841782, 2022 წლის 16 აგვისტოს №909840) შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა, რომელიც დაკომპლექტებული იყო ყველა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლით, ჩაატარა არაერთი დისტანციური შეხვედრა, რომლების ფარგლებში დამუშავდა და მომზადდა: 1. „არაფორმალური განათლების აღიარების უფლების მოპოვების წესისა და პირობების და არაფორმალური განათლების აღიარების უფლების მოპოვების საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 სექტემბრის №459 დადგენილებაში ცვლილებების პროექტი; 2. არაფორმალური განათლების აღიარების კონსულტანტთა

შერჩევის, სერტიფიცირების და სტატუსის შეწყვეტის წესის ცვლილებების პროექტი; 3. გაუმჯობესების რეკომენდაციები და წინადადებები.
2022 წელს, ცენტრმა მოამზადა კონსულტანტების საქმიანობის შესახებ წლიური ანგარიში. შესწავლილ იქნა არაფორმალური განათლების აღიარების ადმინისტრაციულ წარმოებებზე პასუხისმგებელი კონსულტანტების მიერ შესრულებული სამუშაო, რისთვისაც დამუშავდა evet.emis.ge-ზე ასახული ინფორმაცია - კონსულტანტების შევსებული ფორმები. კონსულტანტების აქტივობების და მათი აღწერილობითი ნაწილის შესწავლამ ცხადყო, რომ სერტიფიცირებულმა კონსულტანტებმა აქტივობები ცენტრის დირექტორის 2019 წლის 16 სექტემბრის №837/ი ,,არაფორმალური განათლების აღიარების კონსულტანტთა შერჩევის, სერტიფიცირების და სტატუსის შეწყვეტის წესის“ და შესაბამისი საგანმანათლებლო დაწესებულების შიდა რეგულაციით განსაზღვრული ფუნქციების შესაბამისად განახორციელეს. კონსულტირების ეტაპები სწორად წარმართეს და ჯეროვნად შეასრულეს მათზე დაკისრებული ფუნქციები. ცენტრის მხრიდან მათი საქმიანობა შეფასდა დადებითად. თუმცა, გამოიკვეთა გარკვეული სისუსტეები, რომელთა გაუმჯობესებაც მომავალ წელს იგეგმება.

სხვა მნიშვნელოვანი საქმიანობა

2022 წელს, ცენტრის პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის დანერგვის დროს, საუკეთესო ევროპული გამოცდილების გაზიარების მიზნით, 2021 წელს შემუშავებული მეთოდოლოგიის მიხედვით დაიწყო ავტორიზაციის სტანდარტების და ინდიკატორების პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ქსელის (EQAVET) ინდიკატორების საშუალებით პროფესიული განათლების სისტემის ანალიზზე მუშაობა. პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ქსელის (EQAVET) ინდიკატორები განიმარტა საქართველოს პროფესიული განათლების სისტემის რეალობის გათვალისწინებით, განისაზღვრა მონაცემების მოძიების წყაროები და მეთოდები, გამოთხოვილ იქნა ხუთი ინდიკატორის მიხედვით შესაბამისი უწყებებიდან ინფორმაცია, რომლებიც დამუშავდა და მომზადდა პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის შეფასების 2022 წლის ანალიზის დოკუმენტი EQAVET-ის ხუთი ინდიკატორის მიხედვით.

თავი 4. ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფა

ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის რეფორმა

ზოგადი განათლების რეფორმის ფარგლებში, 2022 წლის 6 აპრილს განხორციელდა მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებები ,,ზოგადი განათლების შესახებ" და ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონებში ზოგადი განათლების ხარისხის გაუმჯობესების, ხარისხის უზრუნველყოფის მოქნილი და ეფექტიანი მექანიზმების შემუშავებისა და პროცესის განვითარების მიმართულებით. ცვლილებები მოიცავდა შემდეგ ძირითად საკითხებს: ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის განახლებული სტანდარტების სახელწოდებები; ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებისთვის აკრედიტაციის პროცესის ცვლილება და აღნიშნული მექანიზმის ავტორიზაციის პროცესში ინტეგრირება; სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული სკოლებისთვის ავტორიზაციის განსხვავებული მიდგომების დადგენა სამართლებრივი შედეგების თვალსაზრისით; სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატების, ასევე, პროგრამის განხორციელების უფლების ჩამორთმევის შესაძლებლობა; თვითშეფასებისა და მონიტორინგის პროცესების განვითარება; გრიფირებული სახელმძღვანელოების გარდა, სასწავლო პროცესში სხვა სახელმძღვანელოების გამოყენების შესაძლებლობა; ზოგადი განათლების სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის ინდიკატორების შემუშავების აუცილებლობის დადგენა; ასევე, კანონების დებულებები შესაბამისობაში მოვიდა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ტერმინებთან. საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე, დაინტერესებული პირების ფართო ჩართულობით, შემუშავდა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პროექტი. ცვლილებები ძალაში 2022 წლის 29 დეკემბერს შევიდა და გავრცელდა 2023 წლიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

წარმოდგენილმა ცვლილებებმა ხელი უნდა შეუწყოს ავტორიზაციის ახალი სტანდარტებისა და პროცედურების დადგენის გზით, ზოგადი განათლების სისტემის შიდა და გარე ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განვითარებას. ცვლილებები ითვალისწინებდა:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ახალ სტანდარტებს;
2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის განახლებულ პროცედურებს;
3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის განახლებულ საფასურებს.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის მოქმედი სამი სტანდარტი (საგანმანათლებლო პროგრამები; მატერიალური რესურსი; ადამიანური რესურსი) შეიცვალა ოთხი ახალი სტანდარტით, რომლებიც შეეხება: 1. სკოლის ფილოსოფიას; 2. სასკოლო კურიკულუმს; 3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურულ მხარდაჭერას; 4. მოსწავლეთა მხარდაჭერას. იცვლება სტანდარტების შეფასების სისტემა - მოქმედი შეფასება, რომელიც ორდონიანია (შეესაბამება/ არ შეესაბამება) იცვლება ოთხდონიანი, დიფერენცირებული შეფასების სისტემით, რომელიც იქნება მოქნილი და დაწესებულების განვითარებაზე ორიენტირებული (შეესაბამება/მეტწილად შეესაბამება/ ნაწილობრივ შეესაბამება/ არ შეესაბამება); იმისათვის, რომ დაწესებულებამ მოიპოვოს ავტორიზაცია, საკმარისია იგი ყველა სტანდარტთან მიმართებით შეფასდეს, მინიმუმ როგორც ,,ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს", გარდა სასკოლო კურიკულუმის სტანდარტისა - სადაც მეტწილად სულ მცირე შესაბამისობაა მოთხოვნილი.

ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის განახლებული ჩარჩო, ასევე ითვალისწინებს დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების რეალურ თვითშეფასებაზე დაფუძნებას, რაც განაპირობებს,

თვითშეფასების, როგორც სკოლის განვითარების მძლავრ ინსტრუმენტად გარდაქმნას, განსხვავებით წინა წლებისგან, როდესაც იგი ერთგვარად ფორმალურ ხასიათს ატარებდა. ცვლილებების თანახმად, სკოლებს აღარ ექნებათ თვითშეფასების ცენტრისთვის წარმოდგენის ვალდებულება, არამედ ისინი განახორციელებენ ყოველწლიურ თვითშეფასებას სპეციალურ ელექტრონულ პორტალზე და მათი ყოველწლიური სამოქმედო გეგმები დაეფუძნება თვითშეფასების შედეგებს.

ცვლილებებმა შესაბამისი ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, გაითვალისწინა, ცალკეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესაძლებლობა. ავტორიზაციის მიზნებისთვის, დამოუკიდებელ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამას წარმოადგენს: ა) დაწყებითი საფეხურის პროგრამა; ბ) საბაზო საფეხურის პროგრამა; გ) საშუალო საფეხურის პროგრამა; დ) უცხოურ ენაზე განხორციელებული პროგრამა; ე) სხვადასხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამა.

ცვლილებები ორიენტირებულია მონიტორინგის პროცესების განვითარებაზეც. დაწესებულებებს ექნებათ შესაძლებლობა ცენტრს, მონიტორინგის განხორციელების მიზნით თავიანთი ინიციატივით მიმართონ. სიახლეს ასევე წარმოადგენს, ცენტრის დირექტორის ყოველწლიური მონიტორინგის გეგმის დამტკიცების შესახებ სკოლების წინასწარი ინფორმირება გეგმის დამტკიცებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში. აღსანიშნავია აგრეთვე, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების ფარგლებიც. დაწესებულებას, სტანდარტებთან შესაბამისობის მიხედვით, განესაზღვრება შესაბამისი რეკომენდაციები და ვადები (მაქსიმუმ 24 თვე) სტანდარტ(ებ)ით გათვალისწინებულ შესაბამის მოთხოვნილ დონესთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

საბჭოს გადაწყვეტილებებს დაემატა პროგრამის დამატების/ჩამორთმევის (კერძო სკოლისთვის), ფართის ცვლილების/დამატების გადაწყვეტილებები. საჯარო და კერძო სკოლების შეფასების სტანდარტები იდენტური სახით არის წარმოდგენილი. განსხვავება იქნება მხოლოდ საბჭოს გადაწყვეტილებების ფარგლებში, კერძოდ, საჯარო სკოლისთვის / მისი პროგრამისთვის უარყოფითი შეფასების შემთხვევაში (როცა სახეზე იქნება ინსტიტუციის / პროგრამის გაუქმების გარემოება), საბჭო მიიღებს გადაწყვეტილებას განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსადმი შუამდგომლობით მიმართვის შესახებ აღნიშნული სკოლის/ მისი პროგრამის ფუნქციონირების მიზანშეწონილობის თაობაზე.

ცალკე წესად ჩამოყალიბდა ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შემთხვევაც, რაც წინა რეგულაციით, მონიტორინგის ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ხორციელდებოდა.

ავტორიზაციის პროცედურულ საკითხებში დაგეგმილი სხვა ცვლილებებიც ფოკუსირებულია პროცესების განვითარებაზე: დაწესებულებას შეეძლება არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინოს დასკვნის პროექტში ასახული ხარვეზების გამოსწორების დამადასტურებელი მტკიცებულებები ან/ და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი ვალდებული იქნება საბოლოო დასკვნაში ასახოს ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების / არ გაზიარების შესახებ.

ზემოაღნიშნული საკითხები დეტალურად იქნა განხილული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებთან. კერძოდ, აღნიშნული დოკუმენტები, უკუკავშირის მიღების მიზნით, საჯარო განხილვებზე წარდგენილ იქნა საჯარო, კერძო (მათ შორის საზღვარგარეთ აღიარებული და უცხოენოვანი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ სკოლებთან) საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებთან, მათგან მიღებული უკუკავშირის საფუძველზე, დოკუმენტმა საბოლოო სახე მიიღო. საჯარო განხილვები ჩატარდა ქ. თბილისში, ქ. რუსთავში, ქ. გორში, ქ. თელავში, ქ. ახალციხეში, ქ. ქუთაისში, ქ. ზუგდიდში და ქ. ბათუმში. საჯარო

განხილვებში მონაწილეობას სკოლების წარმომადგენლებთან ერთად ასევე იღებდნენ რესურსცენტრების წარმომადგენლებიც.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ დებულებაში განსახორციელებელი ცვლილებების პროექტის შემუშავებაში აქტიურად იყვნენ ჩართულები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შესაბამისი დეპარტამენტის წარმომადგენლები და სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირების წარმომადგენლები, რომლებსაც შემხებლობა აქვთ წარმოდგენილ საკითხებთან.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის განახლებული სტანდარტების დანერგვასთან და საჯარო სკოლების ავტორიზაციის პროცესის წარმართვასთან დაკავშირებით, ცენტრის დირექტორის 2022 წლის 28 თებერვლის ბრძანების საფუძველზე შეიქმნა წარმომადგენლობითი საკოორდინაციო ჯგუფი, რომელიც პროცესში ჩართული ყველა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლისგან დაკომპლექტდა, კერძოდ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ცენტრი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა, საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური, საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო. საკოორდინაციო ჯგუფის მიერ განისაზღვრა შესაბამისი სამოქმედო გეგმა. ჯგუფის შეხვედრების ფარგლებში, სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით, ასევე მოეწყო გასვლითი ღონისძიება, სადაც კიდევ ერთხელ მოხდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებისა და პროცედურების გადახედვა და რიგი საკითხების დაზუსტება.

ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის განახლებული მექანიზმების დანერგვასთან დაკავშირებით, განხორციელდა სასწავლო ვიზიტი ესტონეთში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და ცენტრის თანამშრომლების ჩართულობით. ვიზიტის შედეგად გათვალისწინებულ იქნა ის მნიშვნელოვანი და წარმატებული პრაქტიკა, რაც უცხოელმა კოლეგებმა გააზიარეს სასწავლო ვიზიტის ფარგლებში. აღსანიშნავია, რომ ავტორიზაციის ახალმა სტანდარტებმა და პროცედურებმა ესტონურ მხარესთან გაზიარებისას წარმატებით გაიარა ვალიდაცია. ესტონელი კოლეგების უკუკავშირი განხორციელებულ და დაგეგმილ ცვლილებებთან მიმართებით იყო პოზიტიური.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინსტიტუციური თვითშეფასების განვითარების ქვეპროგრამა

2022 წელს, ცენტრის დირექტორის 20 იანვრის №44980 ბრძანებით დამტკიცდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინსტიტუციური თვითშეფასების განვითარების ქვეპროგრამა. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინსტიტუციური თვითშეფასების განვითარების ქვეპროგრამის ფარგლებში, რომლის დამტკიცების საფუძველს წარმოადგენდა ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონში ჩანაწერი, რომელიც ითვალისწინებს 2026-27 სასწავლო წლის დაწყებამდე სამინისტროს მიერ საჯარო სკოლების ეტაპობრივი ავტორიზაციის უზრუნველყოფას, შესაბამისი სპეციალისტების მიერ შემუშავდა და დაინტერესებული მხარეების ჩართულობით გადაიხედა და დამტკიცდა ავტორიზაციის ახალი სტანდარტები.

2022 წლის დასაწყისში დაიწყო სკოლების დიაგნოსტიკური თვითშეფასების პილოტირება და ფართომასშტაბიანი დიაგნოსტიკური თვითშეფასება, რაც მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის საფუძველზე საჯარო სკოლების ავტორიზაციის გეგმის შედგენით დასრულდა.

ქვეპროგრამის ფარგლებში დასრულდა ხარისხის სპეციალისტთა ტრენინგი და სერტიფიცირება. სერტიფიცირებული სპეციალისტებიდან ტერიტორიული პრინციპით შეირჩნენ თვითშეფასების სპეციალისტები, რომლებმაც გადამწყვეტი როლი შეასრულეს სკოლების თვითშეფასების პროცესის

წარმართვაში. ამასთან, წინასწარ შემუშავებული ინდიკატორების მეშვეობით ანალიტიკოსების ჯგუფი პარალელურად ახორციელებდა სკოლების შეფასებას და მათ დაჯგუფებას ავტორიზაციის განრიგში, ავტორიზაციისათვის მათი მზაობის შესაბამისად. განხორციელებული აქტივობებით შეიქმნა საფუძველი 2023 წლიდან პირველი საავტორიზაციო განაცხადების მისაღებად.
შემუშავდა ის საკვანძო პრინციპები და ხედვები, რომლებსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების თვითშეფასების სისტემა დაეფუძნა. განისაზღვრა მახასიათებლები, რომლებიც თვითშეფასების სისტემას ქმედით და სასკოლო ცხოვრების განუყოფელ ბუნებრივ პროცესად გარდაქმნის. კერძოდ, ღიაობა და გულწრფელობა, ბრალეულობის გარეშე მცდელობების წახალისება, ძლიერი მხარდაჭერის სისტემა პროფესიული განვითარების ხელშეწყობითა და წარმატებული გამოცდილების გაზიარების მიზნით, პასუხისმგებლობის გაზიარება სასკოლო საზოგადოების მიერ ხარისხიან განათლებაზე, ეფექტიანი ანგარიშვალდებულების სისტემა, რომელსაც საფუძვლად უდევს მიღწევის და დახელოვნების მენეჯმენტი, ეფექტიანი შეფასებისა და მართვის სისტემა, რომელშიც ნათლად ჩანს რა მუშაობს და რა არა, ინტეგრირება სკოლის სტრატეგიულ დაგეგმარებასა და გაუმჯობესების ციკლთან.
ავტორიზაციის ოთხი სტანდარტის - სკოლის ფილოსოფია, სასკოლო კურიკულუმი, სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა და მოსწავლეთა მხარდაჭერა - მოთხოვნებზე დაყრდნობით შემუშავდა თვითშეფასების ინსტრუმენტი. თვითადმინისტრირებადი კითხვარის დებულებების განსაზღვრისას გათვალისწინებული იყო შემდეგი პრინციპები:

- დებულებები არის მიმართულების შემცველი/დამაკვალიანებელი;
- დებულებები არაა ძალიან კონკრეტული/პროდუქტზე დაფუძნებული;
- დებულებით განსაზღვრული იდეა არის მკაფიო და არაორაზროვანი;
- დებულებები სკოლებს აძლევს შანსს იმოქმედონ თავისუფლების მაღალი ხარისხით.

სკოლა თვითშეფასების პროცესში საკუთარ თავს აფასებს ხუთდონიან სკალაზე:

- *0 - ნულოვანი;*
- *1 - დამწყები - საწყისი ფაზა - ერთეული მცდელობები, მოსინჯვები, ყოველგვარი ანალიზის და რეფლექსიის გარეშე;*
- *2 - განვითარებადი - განვითარების პროცესში მყოფი - ერთეული მცდელობები გაზომვებით, უკუკავშირით, პროცესის შეფასებითა და სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;*
- *3 – მდგრადი - მყარი, საიმედო, სანდო მიდგომა/პროცესი/მდგომარეობა - სკოლაში ბირთვი პროცესები იმართება მოცემული გზით, თუმცა საჭიროებს დახვეწას სისტემურობისა და ჰოლისტურობის თვალსაზრისით;*
- *4 - წარმატებული - სისტემური მექანიზმი - სკოლაში ფუნქციონირებს სისტემური ხედვა მოცემული ორიენტირის მიხედვით და პროცესები იმართება ინტეგრირებულად და სასკოლო საზოგადოების კოორდინირებული ჩართულობით.*

შემუშავდა თვითშეფასების ელექტრონული პლატფორმა, რომლის დახმარებითაც თვითშეფასების პროცესის ელექტრონული სისტემა ამოქმედდება. იგი საშუალებას აძლევს პროცესში მონაწილე სკოლებს ერთ სივრცეში შეაგროვონ ყველა ის მონაცემი, რომელიც შემდგომში გამოადგებათ, როგორც საკუთარი განვითარების გზის დაგეგმვასა და შეფასებაში, ასევე ავტორიზაციის პროცესში. თითოეულ სკოლას თავისი უნიკალური კოდის მეშვეობით საშუალება აქვს შევიდეს პლატფორმაზე და იმუშაოს თვითშეფასებაზე. პლატფორმა ინახავს ყველა შეტანილ ინფორმაციას და ამ ინფორმაციაზე წვდომა აქვს მხოლოდ სკოლას, მანამდე ვიდრე ის თვითონ კითხვარის ბოლოში არსებული ღილაკზე დაჭერით არ დაადასტურებს მისი ნამუშევრის გაზიარების სურვილს. მხოლოდ ინფორმაციის საჯაროობის დადასტურების შემდეგ ექნებათ გარეშე პირებს, მათ შორის ცენტრის თანამშრომლებს აღნიშნული

სკოლის მიერ ატვირთულ მასალაზე წვდომა. სკოლისთვის პლატფორმაზე შესვლის პროცესის გასამარტივებლად, ყველა სკოლის მონაცემი წინასწარ იქნა პლატფორმაზე შეტანილი. თითოეულმა სკოლამ გამოყო პლატფორმაზე ინფორმაციის ასახვაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც სკოლის ფარგლებში ადმინისტრირებას უწევდა პლატფორმის მოხმარების პროცესს.

პლატფორმამ შემუშავების შემდეგ გაიარა, როგორც შინაარსობრივი, ასევე ტექნიკური ტესტირების ეტაპი. შინაარსობრივი ტესტირების საფუძველზე დაიხვეწა ინსტრუმენტი, გასწორდა და მკითხველისთვის მეტად აღქმადი გახდა დებულებების შინაარსი.

გარდა ამისა, შემუშავდა დიაგნოსტიკური თვითშეფასების ელექტრონული პლატფორმის მოხმარების გზამკვლევი (მათ შორის ვიდეორგოლი), რომელიც ასევე მიეწოდა ყველა სკოლას/მხარდაჭერაში ჩართულ პირებს. სკოლებს დამატებით მიეწოდათ რეკომენდაციები პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ.

ხარისხის უზრუნველყოფის სერტიფიცირება გაიარა 146 პირმა. სწორედ მათგან შეირჩნენ დიაგნოსტიკური თვითშეფასების მხარდაჭერის სპეციალისტები, რომლებსაც უშუალოდ პროცესის დაწყებამდე ჩაუტარდათ ტრენინგები, როგორც პლატფორმაზე მუშაობის თაობაზე, ასევე თვითშეფასების შევსების სპეციფიკის შესახებ. სპეციალისტები მუშაობდნენ მაისი-დეკემბრის პერიოდში, სულ მხარდაჭერაში მონაწილეობა მიიღო 77 სპეციალისტმა.

წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით, თავიანთი არეალის სკოლებში სპეციალისტებმა როგორც დისტანციურად, ასევე ადგილზე მისვლით პრეზენტაციები, ტრენინგები და სამუშაო შეხვედრები ჩაატარეს. სპეციალისტები ეტაპობრივად ახორციელებდნენ ანგარიშგებას თვითშეფასების კოორდინატორთან, აწვდიდნენ მას როგორც დისტანციური შეხვედრების ამსახველ აუდიო/ვიდეო და ფოტო მასალას, გამოყენებულ პრეზენტაციას, თვითშეფასების ჯგუფის წევრების თაობაზე ინფორმაციას, ასევე იმ ძირითადი საკითხების ჩამონათვალს, რომლებიც შეხვედრების დროს განიხილეს. პრეზენტაციებისთვის/სამუშაო შეხვედრებისთვის გამოყენებული იყო ის მეთოდოლოგიური დოკუმენტები, რაც სპეციალისტებს მიეწოდათ სერტიფიცირებისა და დამატებით, ტრენინგების დროს (უშუალოდ მხარდაჭერის განხორციელებამდე). სულ ჩატარდა 2074 სკოლის მხარდაჭერა, მათ შორის 3 სკოლა იყო დიაგნოსტიკური თვითშეფასების პლატფორმის პილოტირებაში ჩართული და აღნიშნული პროცესის ფარგლებში გაიარა თვითშეფასების პროცესი. უკვე ავტორიზებული საჯარო სკოლების მიერ ქვეპროგრამის ფარგლებში თვითშეფასებები არ განხორციელებულა.

თვითშეფასების ანალიზის საფუძველზე, 2023 – 2026 წლებისთვის მომზადდა საჯარო სკოლების ავტორიზაციის განრიგი. თვითშეფასების ანალიზის საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში შემავალი შესაბამისი საჯარო სამართლის იურიდიულ პირებთან თანამშრომლობის შედეგად მომზადდა საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურული და მატერიალური რესურსების შესახებ ბაზები, რომლების საფუძველზე ავტორიზაციის მიზნებისთვის განისაზღვრა საჯარო სკოლების საჭიროებები. შესაბამისად, არსებობს განვითარების გეგმები ინდივიდუალურ სკოლებთან მიმართებით სისტემის დონეზე.

აღსანიშნავია, რომ ქვეპროგრამის ფარგლებში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და დაინტერესებული მხარეებისთვის, ჩაატარა 9 ტრენინგი თემაზე - „უცხოეთში სწავლის პერიოდში მიღებული ზოგადი განათლების აღიარების თავისებურებანი“.

საგანმანათლებლო დაწესებულებებში ექსპერტთა ვიზიტები, ადმინისტრაციული წარმოებები

2022 წელს, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მოქმედი სტანდარტების შესაბამისად განხორციელდა 120-მდე კერძო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების რეავტორიზაციის ადმინისტრაციული წარმოება, 5 მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის ადმინისტრაციული წარმოება, 8 ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების

(მონიტორინგი) ადმინისტრაციული წარმოება. ასევე, 4 ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ადმინისტრაციული წარმოება და 1 საზღვარგარეთ აღიარებული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საქართველოში აღიარების ადმინისტრაციული წარმოება. ჩატარდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს 33 სხდომა, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 1 სხდომა და სააპელაციო საბჭოს 2 სხდომა.

შემუშავებული დოკუმენტები

საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე, დაინტერესებული პირების ფართო ჩართულობით, შემუშავდა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პროექტი, რომელიც პირისპირ შეხვედრების ფორმატში წარედგინა, როგორც საჯარო, ისე კერძო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებს, ქვეყნის მასშტაბით არსებულ საგანმანათლებლო რესურსცენტრებს, ასევე საზღვარგარეთ აღიარებული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ სკოლებს. მათგან მიღებული საბოლოო უკუკავშირების შემდგომ, პროექტი ცენტრმა, ინიცირების მიზნით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან წარადგინა. 2022 წლის მიწურულს, დამტკიცდა ინიცირებული ცვლილებები, რომლებიც ძალაში 2023 წლიდან შევიდა.

მეთოდოლოგიური დოკუმენტები/გზამკვლევები

ავტორიზაციის სტანდარტებზე მუშაობის პარალელურად, მუშაობა მიმდინარეობდა ავტორიზაციის სტანდარტების გზამკვლევზე და მეთოდოლოგიური მასალების/დოკუმენტების შემუშავებაზე. გზამკვლევის შემუშავებაზე მუშაობდა ქვეპროგრამის შიდა ჯგუფი, ასევე მიმდინარე წლის დეკემბერში, მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით, დაინტერესებული მხარეების ჩართულობით განხორციელდა პირველი და მეოთხე სტანდარტის გზამკვლევის ვერიფიკაცია. ავტორიზაციის სტანდარტების პროექტის გზამკვლევი მოიცავს სტანდარტის სახელწოდებას, კომპონენტს, შესაბამის ინდიკატორებსა და მტკიცებულებებს. გზამკვლევში განმარტებულია, თუ რას გულისხმობს სტანდარტების კომპონენტები და კრიტერიუმები და მათი შესაბამისი ინდიკატორები.
მომზადდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით დამხმარე მეთოდოლოგიური მასალის/სახელმძღვანელო დოკუმენტები: მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია; ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და შინაგანაწესი; მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის რეგულაცია; მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი; სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა კორპუსი

2022 წელს, სერტიფიცირების საფუძველზე 146 პირს მიენიჭა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტის სტატუსი. ასევე, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის საგნობრივი ექსპერტების შერჩევის მიზნით გამოცხადებული კონკურსის გზით, სხვადასხვა საგნობრივი ჯგუფების შესაბამისად, 331 პირი გახდა საგნობრივი ექსპერტი.
2022 წლის ბოლოს, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის განახლებული მექანიზმების დანერგვასთან დაკავშირებით, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის

სპეციალისტებისთვის, რომლებმაც სურვილი გამოთქვეს ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტის სტატუსიც მინიჭებოდათ, პროფესიული განვითარებისა და შესაძლებლობების გაძლიერების მხარდაჭერის მიზნით, ტრენინგების ციკლი დაიწყო. დაწყებული ტრენინგის ციკლის მიზნებია ექსპერტთა მომზადება ავტორიზაციის პროცესის განსახორციელებლად, განახლებული სტანდარტებისა და პროცედურების შესაბამისად. ის მოიცავს ექსპერტული საქმიანობის განსახორციელებლად ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორებიცაა თვითშეფასების ანალიზი, მტკიცებულებათა სახეები და მათი მოპოვება, ინტერვიუების ტექნიკა, ექსპერტთა პროფესიული ეთიკის საკითხები, არგუმენტირებული დასკვნის წერა, დაწესებულებისათვის განმავითარებელი რეკომენდაციების შეთავაზება. ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტების ტრენინგების ციკლი მსოფლიო ბანკის პროგრამის „ინოვაციის, ინკლუზიურობის და ხარისხის პროექტი - საქართველო 12Q (IBRD)“ მხარდაჭერით ტარდებოდა და ორგანიზებული იყო საკონსულტაციო კონსორციუმის მიერ, საერთაშორისო კომპანია IBF International-ის ხელმძღვანელობით, საერთაშორისო ექსპერტებისა და ცენტრის თანამშრომლების ჩართულობით.

თავი 5. ადრეული და სკოლამდელი განათლების ხარისხის უზრუნველყოფა

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის რეფორმა

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სფეროში, 2022 წელს დაიწყო მნიშვნელოვანი რეფორმის განხორციელება. კერძოდ, 15 თებერვალს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ საქართველოს კანონში განხორციელდა ცვლილება, რომლის მიხედვითაც ავტორიზაციის მიზნებისთვის გარდამავალ პერიოდად 2030 წლის 1 იანვრამდე პერიოდი განისაზღვრა. ამ პერიოდში, ცენტრს დაევალა ადრეული ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის გამართვა და საბავშვო ბაღების ავტორიზაცია. ამ მიზნით, ცენტრში შეიქმნა ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების პირველადი რეგისტრაცია

2022 წელს, დაიწყო ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების პირველადი რეგისტრაცია. სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემასთან ერთად ჩატარდა პლატფორმის პილოტირება და დაწესებულებების ტრენინგები რეგისტრაციის პროცესთან დაკავშირებით. პლატფორმაზე დარეგისტრირდა 1,900-ზე მეტი კერძო და საჯარო დაწესებულება. განხორციელდა საკანონმდებლო ცვლილება - ინდივიდუალურ მეწარმეებს, რომლებიც ადრეული ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიწოდებას ახორციელებენ, 2023 წლის 31 მარტის ჩათვლით მიეცემათ პლატფორმაზე რეგისტრაციის შესაძლებლობა.

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩოს გამართვა

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩოს გამართვისთვის, გაეროს ბავშვთა ფონდის - UNICEF მხარდაჭერითა და უწყებათაშორისი თანამშრომლობით შემუშავდა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის, ავტორიზაციის სტანდარტებისა და ადრეული აღზრდისა

და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების შენობის ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოწყობის შესახებ მოთხოვნების პროექტები. მომზადებული დოკუმენტები განხილული იქნა ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის პროცესის განხორციელების უზრუნველსაყოფად შექმნილი საკოორდინაციო ჯგუფის წევრებთან, ადრეული ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მიმწოდებელ საჯარო და კერძო დაწესებულებებთან, მუნიციპალიტეტის მერიის, დაწესებულებების გაერთიანებებისა და რესურსცენტრების წარმომადგენლებთან. საკანონმდებლო დოკუმენტების პროექტები წარედგინა საქართველოს მთავრობას დასამტკიცებლად.

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ინსტიტუციური თვითშეფასების ხელშეწყობა

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ინსტიტუციური განვითარების ხელშეწყობის მიზნით, დაწესებულებების თვითშეფასების დანერგვისთვის დაიწყო მუშაობა. გაეროს ბავშვთა ფონდის - UNICEF მხარდაჭერით შემუშავდა თვითშეფასების ელექტრონული პლატფორმის საპილოტე ვერსია. მომზადდა თვითშეფასების ადაპტირებული კითხვარები, რომლებიც დაწესებულების ადმინისტრაციის, საგანმანათლებლო პერსონალის, ტექნიკური პერსონალისა და მშობლების კითხვარებს მოიცავს.

ხარისხის სერტიფიცირებული სპეციალისტების მომზადების და სერტიფიცირების კონცეფციის შემუშავება

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების თვითშეფასების განხორციელების ხელშეწყობის და დაწესებულებების ხარისხის გარე უზრუნველყოფის განხორციელების მიზნით, შემუშავდა ხარისხის სერტიფიცირებული სპეციალისტების მომზადების და სერტიფიცირების კონცეფცია. ასევე მომზადდა ადრეული აღზრდისა და განათლების დაწესებულების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესის პროექტი. აღნიშნული დოკუმენტები განხილული იქნა ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის პროცესის განხორციელების უზრუნველსაყოფად შექმნილი საკოორდინაციო ჯგუფის სხდომაზე.

თავი 6. ეროვნული კვალიფიკაციების განვითარება

უმაღლესი დარგობრივი საბჭოების ადმინისტრირება

2022 წელს, დამტკიცდა 12 უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი: მათ შორის, ხელოვნების მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერული აკრედიტაციის ფარგლებში, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკადემიური პერსონალის, დარგობრივი სამინისტროების, ასოციაციებისა და დარგობრივი გაერთიანებების, ასევე, დასაქმების ბაზრის წარმომადგენლების ჩართულობით, სახელოვნებო სფეროში შემუშავდა 9 უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი: გამოყენებითი ხელოვნების/ხელნაკეთობის; თეატროლოგიისა და ქორეოლოგიის; თეატრის რეჟისურის (დრამის, მუსიკალური თეატრის, პანტომიმის თეატრის, თოჯინების თეატრის); სამსახიობო ხელოვნების (დრამისა და კინოს მსახიობი, მუსიკალური თეატრის მსახიობი, პანტომიმის თეატრის მსახიობი, თოჯინების თეატრის მსახიობი); ქორეოგრაფიის; სახვითი ხელოვნების („სახვითი ხელოვნება, „ფერწერა, „გრაფიკა/გრაფიკის ხელოვნება და „ქანდაკება); აუდიოვიზუალური ხელოვნების („აუდიოვიზუალური ხელოვნება, „კინო-ტელეხელოვნება და

რეჟისურა (მხატვრული ფილმი, დოკუმენტური, კლიპი, ანიმაციური ფილმი, ხმის, ტელე/ვიზუალური კომუნიკაცია/მედიახელოვნების („ვიზუალური კომუნიკაცია“, „მედიახელოვნება/ციფრული მედია, „მულტიმედია დიზაინი“, „გრაფიკული დიზაინი“ და „ბეჭდვითი მედია/ტიპოგრაფია“; დიზაინის, სამრეწველო დიზაინის, მოდის დიზაინის, ტექსტილის დიზაინის.
ასევე, დამტკიცდა უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლები მენეჯმენტის, კონფლიქტოლოგიისა და ლექსიკოგრაფიის მიმართულებით.
განახლდა ორი უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი: მედიცინისა და ენის დაუფლების.
მედიცინის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი როგორც შინაარსობრივად, ასევე, ფორმატით განსხვავდება აქამდე მოქმედი, 2018 წელს დამტკიცებული მახასიათებლისგან, რომლის საფუძველიც გახდა მთელი რიგი მნიშვნელოვანი საერთაშორისო და ეროვნული კონცეპტუალური სიახლეები, რომლებიც ასახულია შესაბამის დოკუმენტებში. მათგან უმნიშვნელოვანესია სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის (WFME) მიერ შემუშავებული ორი გლობალური სტანდარტი - დიპლომამდელი სამედიცინო განათლების გლობალური სტანდარტები (2020 წ) და სამედიცინო განათლების დისტანციური და განაწილებული სწავლების სტანდარტები (2021 წ), აგრეთვე, 2021 წელს ცენტრის მიერ ჩატარებული ქვეყანაში მოქმედი მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამების თემატური ანალიზის შედეგები დამტკიცებული უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლები გამოქვეყნებულია ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე - https://eqe.ge/ka/page/static/946/umaghlesi-ganatlebis-kvalifikaciebis-ganvitareba.

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მართვა და მონიტორინგი

შემუშავდა ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს რეფერენსირების/თვითსერტიფიცირების სამოქმედო გეგმის დოკუმენტი, რომელიც მომზადებულია "მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოს (EQF-LLL)" შესახებ ევროსაბჭოს 2017 წლის 22 მაისის რეკომენდაციის მე-3 დანართით განსაზღვრული რეფერენსირების 10 კრიტერიუმის შესაბამისად. დოკუმენტი განხილული და შეთანხმებულია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დანერგვისა და განვითარების მიზნით შექმნილ მრჩეველთა საბჭოსთან (შემდგომში - მრჩეველთა საბჭო). მრჩეველთა საბჭოსგან მიღებული რეკომენდაციები აისახა დოკუმენტში და შესათანხმებლად გაეგზავნა ცენტრის დირექტორს. ცენტრის ორგანიზებით ტრენინგები ჩაუტარდათ ჰუმანიტარული მიმართულების ექსპერტებს.

შემუშავებული დოკუმენტები

შემუშავდა და გამოქვეყნდა ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს სახელმძღვანელო, რომელიც მიზნად ისახავს დაინტერესებული მხარეებისთვის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დანიშნულების მიზნების სტრუქტურისა და შინაარსის გაცნობას, გაგებასა და მის ეფექტურ ინსტრუმენტად გამოყენებას.
სახელმძღვანელო შეთანხმებულია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დანერგვისა და განვითარების მიზნით შექმნილ მრჩეველთა საბჭოსთან. სახელმძღვანელო რეგულარულად განიხილება და განახლდება ცენტრის მიერ, შესაბამისი საკანონმდებლო რეგულაციებისა და ეროვნულ დონეზე კვალიფიკაციების სისტემის ანალიზის შესაბამისად.
ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს სახელმძღვანელოს ექნება სარეკომენდაციო ხასიათი და იქნება მნიშვნელოვანი დამხმარე ინსტრუმენტი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის.

სახელმძღვანელო წარმოდგენილია შემდეგ ელექტრონულ გვერდზე: https://eqe.ge/ka/page/static/295/sakhelmdzghvanelo-dokumentebi.

სამუშაო შეხვედრები და კონსულტაციები

კვალიფიკაციების განვითარების სამსახურის წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო MICROBOL ფინალურ საერთაშორისო კონფერენციაში, რომელზეც განხილულ იქნა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ორწლიანი (2021-2022) Erasmus + პროექტის შედეგები უმაღლესი განათლების სივრცეში მცირე მოცულობის (მიკროკრედიტების) საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვის შესაძლებლობებთან დაკავშირებით. პროექტის ფარგლებში შემუშავებულ იქნა უმაღლესი განათლების სივრცეში მიკროკრედიტების ერთიანი ჩარჩო. ეროვნულ დონეზე, მიკროკრედიტების დანერგვის მიმართულებით, მუშაობა გრძელდება ბოლონიის პროცესის კვალიფიკაციების ჩარჩოს განვითარების თემატური ექსპერტული ჯგუფის (TPG A on QF) ფარგლებში, რომელშიც საქართველო წარმოდგენილია, როგორც თანათავმჯდომარე ქვეყანა.
ასევე, მაისის თვეში, ცენტრის წარმომადგენელი სხვა პარტნიორ ქვეყნებთან, ექსპერტებთან და ევროკავშირიდან წარმოდგენილ პრაქტიკოსებთან ერთად, ესწრებოდა ევროპული განათლების ფონდის (ETF) მიერ ორგანიზებულ ვებინარს. სამუშაო შეხვედრაზე განხილულ იქნა შესამუშავებელი გაიდლაინის დოკუმენტის შინაარსი, რომელიც შემდგომში უზრუნველყოფს დაინტერესებული ქვეყნებისათვის მცირეკრედიტიანი პროგრამების აგებისა და განვითარების შესაძლებლობების გაცნობასა და ხელშეწყობას.
შეხვედრა ჩატარდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენლებთან, რომელთაც წარედგინათ პრეზენტაცია მიკროკრედიტების შინაარსის, განხორციელების თავისებურებებისა და საერთაშორისო გამოცდილების შესახებ.
ჩატარდა 12 საკონსულტაციო შეხვედრა უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოს წევრებთან. ასევე, ჩატარდა 4 ტრენინგი უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტებთან.
ბოლონიის ხარისხის უზრუნველყოფის თემატური სამუშაო ჯგუფის (TPG on QA) მიწვევით, ცენტრმა მონაწილეობა მიიღო ქ. ბრიუსელში, ფლამანდიის მთავრობის განათლების დეპარტამენტის მიერ ორგანიზებულ მცირეკრედიტიანი პროგრამების (Micro-credentials) ხარისხის უზრუნველყოფის სამუშაო ჯგუფის შეხვედრაში. აღნიშნული სამუშაო ჯგუფი უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაციის (ENQA) პარტნიორობით განხორციელებული პროექტის - „დანერგვა და ინოვაცია QA-ში ურთიერთსწავლების გზით“ (IMINQA)“ - ფარგლებში დაინიცირდა.
ჩატარდა 22 საკონსულტაციო შეხვედრა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და დაინტერესებულ პირებთან.

სხვა მნიშვნელოვანი საქმიანობა

შინაარსობრივი და ტექნიკური ხასიათის ცვლილებები განხორციელდა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ სწავლის სფეროების კლასიფიკატორში.
500-ზე მეტი ანკეტისა და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის ანოტაციის შემოწმება/დადასტურება განხორციელდა.
საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის ჩატარდა ტრენინგი "ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და პროგრამის სწავლის შედეგების თავსებადობის თემაზე“.
მეთოდოლოგიის განახლების მიზნით, ცვლილება შევიდა „სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მართვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესის დამტკიცების შესახებ" ცენტრის დირექტორის 2019

წლის 31 ივლისის №666/ი ბრძანებაში და „უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის შემუშავების, განახლებისა და დამტკიცების, დარგობრივი საბჭოების, დარგობრივი სამუშაო ჯგუფების შექმნისა და საქმიანობის წესში“ 2019 წლის 11 ივნისის 476/ი ბრძანებაში.

თავი 7. საგანმანათლებლო სერვისების განვითარება

საგანმანათლებლო სერვისების განვითარების მიმართულებით ცენტრში არაერთი მნიშვნელოვანი აქტივობა განხორციელდა. აღსანიშნავია, რომ 2022 წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა მოქალაქეთა მომართვიანობა, უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების თაობაზე მომართვიანობა გაორმაგდა.
საანგარიშო პერიოდში, ცენტრის საიტზე ჩაშენდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრი, რომელიც ხელმისაწვდომი 2023 წლიდან გახდა. ღია ელექტრონული რეესტრი დაინტერესებულ პირებს, (მოქალაქეებს, დამსაქმებლებს თუ უცხოურ ორგანიზაციებს) საშუალებას მისცემს საძიებო სისტემის მეშვეობით სხვადასხვა ცვლადების გამოყენებით (როგორებიცაა: დასახელება, საიდენტიფიკაციო ნომერი, დაარსების თარიღი, სახელის ცვლილება, სახელმწიფოს მხრიდან აღიარებული/არაღიარებული პროგრამების განხორციელების პერიოდი და ა. შ.) მოიძიონ სასურველი დაწესებულება და მის შესახებ დეტალური ინფორმაცია, ქართულად და ინგლისურად. ასევე, შესაძლებელია რეესტრში არსებული ინფორმაციის ჩამოტვირთვა PDF ფაილის სახით.
ცენტრმა უზრუნველყო მატერიალური სახით შენახული, აპოსტილით დამოწმების/ლეგალიზაციის სერვისის გაცემისას გამოსაყენებელი, დაახლოებით 4,000-მდე დაწესებულების 52,000-მდე ხელმოწერისა და ბეჭდის ნიმუშის გაციფრულება. ყველაზე ძველი ნიმუშები თარიღდება 1920-იანი წლებით.
ამასთან, შემუშავდა კონცეფცია, თუ როგორ შეიძლება გახდეს შესაძლებელი, ელექტრონული ფორმით, მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდან, ცენტრისათვის უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების თაობაზე განცხადებით მომართვა და აღიარების საფუძველზე, ქართულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში განათლების მიღების გაგრძელება, ერთი ფანჯრის პრინციპის მეშვეობით. კონცეფცია გულისხმობს, ელექტრონული პორტალის შექმნას, რომელზე დარეგისტრირების საშუალებაც მომხმარებლებს ექნებათ ელექტრონულად, ხოლო თავის მხრივ, ცენტრის მიერ პორტალში ინტეგრირებული იქნება ყველა ის ნაბიჯი და ჩართული იქნება ყველა მონაწილე მხარე, ვინც ამჟამად ჩართულია უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების და სწავლების უფლების მინიჭების პროცედურებში. კერძოდ, თარჯიმნის სერვისი, ელექტრონული გადახდის მექანიზმები, მზა დოკუმენტისა თუ სხვადასხვა სახის დოკუმენტაციის ელექტრონულად მიღების შესაძლებლობა, განსაზღვრულია საგანმანათლებლო დაწესებულებების და განათლების და მეცნიერების სამინისტროს როლი. აღსანიშნავია, რომ 2022 წელს შეიქმნა ცენტრის მიერ გაწეული სერვისების ანალიზის დოკუმენტი.
საგანმანათლებლო სერვისების მიმართულებით, ცენტრი მონაწილეობდა სხვადასხვა საერთაშორისო ფორმატებში. კერძოდ, 9-10 ივნისს ქალაქ პარიზში, ბოლონიის იმპლემენტაციის საკოორდინაციო ჯგუფის B ქვეჯგუფის შეხვედრაში; 19-21 ივნისს, ქალაქ დუბლინში „ევროპული საინფორმაციო ცენტრებისა და ეროვნული აკადემიური აღიარების საინფორმაციო ქსელის“ (ENIC-NARIC Network) წარმომადგენლების ყოველწლიურ, რიგით 29-ე შეხვედრაში; 15 ნოემბერს ქალაქ სტრასბურგში, ლისაბონის აღიარების კონვენციის კომიტეტის რიგით მე-9 სხდომაში; 15-16 დეკემბერს, აზერბაიჯანში, ქალაქ ბაქოში, უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების საკითხზე, TKTA Education Quality Assurance Agency-ის ორგანიზებით გამართულ შეხვედრაში.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

2022 წლისთვის საგანმანათლებლო სერვისების სტატისტიკა:

სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ინფორმაცია მიაწოდეს 17,263 დოკუმენტის აპოსტილით დამოწმება/ლეგალიზაციასთან დაკავშირებით

უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების თაობაზე მიიღეს 22,576 გადაწყვეტილება, აქედან 22,175 დადებითი, ხოლო 401 უარყოფითი

მომზადდა ცნობა 456 უცხოეთის საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის შესახებ

საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტის ნამდვილობის დადასტურების საკითხის თაობაზე მიიღეს 3,432 გადაწყვეტილება, აქედან 3,169 დადებითი, ხოლო 263 უარყოფითი

ლიცენზირებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხული პირების მიერ მიღებული უმაღლესი განათლების სახელმწიფო აღიარების საკითხის თაობაზე მიიღეს 23 დადებითი და 1 უარყოფითი გადაწყვეტილება

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული პირების - დევნილების მიერ მიღებული განათლების აღიარების საკითხის თაობაზე 24 გადაწყვეტილება მიიღეს, აქედან 11 დადებითი, ხოლო 13 უარყოფითი

ლიკვიდირებულ, ან საგანმანათლებლო საქმიანობაშეწყვეტილ დაწესებულებაში მიღებული განათლების აღიარების საკითხის თაობაზე 358 გადაწყვეტილება მიიღეს, აქედან 231 დადებითი, ხოლო 127 უარყოფითი

მომზადდა უმაღლესი განათლების 49 და პროფესიული განათლების დამადასტურებელი 19 დიპლომი

ენობრივი სისწორის თვალსაზრისით, ცენტრის მიერ დამუშავდა მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტის 111 პროექტი, დადებითი დასკვნა გაიცა 58 ფორმის პროექტთან დაკავშირებით, ხოლო 53 ფორმის პროექტთან დაკავშირებით დადგინდა ხარვეზი

პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის აკრედიტაცია

საანგარიშო პერიოდში შემუშავდა და დამტკიცდა პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის აკრედიტაციის პირობების შემოწმების მიზნით, დაწესებულების თვითშეფასების ანგარიშის ფორმა, რომლის ფარგლებში აკრედიტებულმა დაწესებულებებმა, აკრედიტაციის პირობების შემოწმების მიზნით, უნდა წარმოადგინონ აკრედიტაციის მინიჭებიდან სამწლიან პერიოდში მათ მიერ განხორციელებული საქმიანობის აღწერა და თვითშეფასება როგორც

არსებული პრაქტიკის კონტექსტში, ასევე, აკრედიტაციის სტანდარტებთან და დაწესებულებაში მოქმედ რეგულაციებთან შესაბამისობაში. თვითშეფასების ანგარიშის წარმოდგენის პროცესის და დაწესებულებების ხელშეწყობის მიზნით 6 აკრედიტებულ დაწესებულებას გაეწია არაერთი კონსულტაცია თვითშეფასების ანგარიშის ფორმის შევსებისა და წარმოდგენის საკითხებთან დაკავშირებით დისტანციურ რეჟიმში კომუნიკაციის თანამედროვე საშუალებების მეშვეობით.
საანგარიშო პერიოდში ცენტრში წარმოდგენილი იქნა ერთი აკრედიტებული დაწესებულების თვითშეფასების ანგარიში, რომლის შესწავლა და ანალიზი შემდგომი რეაგირების მიზნით 2023 წელსაა დაგეგმილი.
საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების სააკრედიტაციო წარმოება, 2022 წელს არ განხორციელებულა. თუმცა, პროგრამის განხორციელების მსურველ დაწესებულებასთან დისტანციურ რეჟიმში განხორციელდა 6 კონსულტაცია.

თავი 8: ინტერნაციონალიზაცია

ცენტრისთვის ინტერნაციონალიზაცია მნიშვნელოვანი პროცესია და ამ კუთხით, ცენტრს, ყოველწლიურად დაგეგმილი აქვს სხვადასხვა აქტივობები უმაღლესი, პროფესიული და ზოგადი განათლების მიმართულებებით. 2021-2025 წლების სტრატეგიის მეორე მიზნის ფარგლებში, ყოველწლიურად იგეგმება აქტივობები და ღონისძიებები, კერძოდ, საქართველოს განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ევროპულ და საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოების მიზნით, ცენტრი აქტიურად იყენებს საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილებას, თანამშრომლობს სხვადასხვა საერთაშორისო პარტნიორთან და მემორანდუმების ფარგლებში, აქტიურად მონაწილეობს საერთაშორისო პროექტებში, მათ შორის, „ერასმუს +“ - ის პროექტებში, რამაც ქვეყანაში უნდა უზრუნველყოს ხარისხიანი განათლების სისტემის ფორმირება.

ENQA

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაციის (ENQA) მმართველი საბჭოს გადაწყვეტილებით, ცენტრი 2023 წლის 20-21 აპრილს უმასპინძლებს ENQA-ს წევრების ყოველწლიურ საერთაშორისო ფორუმს, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ევროპის 32 ქვეყნის ხარისხის უზრუნველყოფის 55 სააგენტოს ხელმძღვანელები, სააგენტოების თანამშრომლები, ევროპის ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების რეესტრის (EQAR), ევროპის უნივერსიტეტების ასოციაციის (EUA), ევროპის სტუდენტთა ასოციაციის, ბოლონიის პროცესის სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელები და წარმომადგენლები. ENQA-ს ფორუმის საქართველოში ჩატარება მნიშვნელოვანია ქვეყნის ცნობადობის, უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარების და ინტერნაციონალიზაციის მიმართულებებით.

BFUG

2022 წელს, ცენტრი ბოლონიის პროცესის ხუთ სამუშაო ჯგუფში იყო წარმოდგენილი. სამუშაო ჯგუფებში გაწევრიანების დროს მხედველობაში იქნა მიღებული ცენტრის დებულებით განსაზღვრულ ფუნქციები და სტრატეგიული მიზნები. 2022 წელს, ცენტრი ბოლონიის პროცესის ხუთ სამუშაო ჯგუფში იყო წარმოდგენილი, კერძოდ, კვალიფიკაციების ჩარჩოს განვითარების თემატური სამუშაო ჯგუფი, ლისაბონის აღიარების კონვენციის შესახებ თემატური სამუშაო ჯგუფი, ხარისხის უზრუნველყოფის თემატური სამუშაო ჯგუფი, სწავლისა და სწავლების სამუშაო ჯგუფი და სოციალური განზომილების სამუშაო ჯგუფი. ცენტრის წარმომადგენლები აქტიურად მონაწილეობდნენ ბოლონიის პროცესის თემატური ექსპერტთა ჯგუფების სამუშაო შეხვედრებში.

ბოლონიის პროცესის ძირითადი რეკომენდაციების და სამუშაო ფორმატებში აღებული ვალდებულების შესრულების მიზნით, ცენტრის დირექტორის ბრძანებით შეიქმნა საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში ბოლონიის პროცესის ძირითადი ვალდებულებების შესრულების ხელშეწყობის სამუშაო ჯგუფი. წარმოდგენილი რეკომენდაციების დოკუმენტის მომზადება სამუშაო ჯგუფის ერთ-ერთ ძირითად სამუშაოდ განისაზღვრა. ამასთან, მიმდინარე წლის განმავლობაში ჯგუფმა ცენტრის სამი შიდა სამუშაო შეხვედრა ჩაატარა და ასევე სამუშაო შეხვედრა ჩაატარა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უმაღლესი განათლების და მეცნიერების განვითარების დეპარტამენტის და სტრატეგიული დაგეგმვის და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის წარმომადგენლებთან.

WFME

მომზადდა სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის (WFME) ყოველწლიური ანგარიში, რომელშიც 2021 წლის განმავლობაში განხორციელებული ძირითადი აქტივობები და ცვლილებები აისახა უმაღლესი სამედიცინო განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით. აგრეთვე, აღნიშნულ ანგარიშში ფედერაციას მიეწოდა მიმდინარე წლის ძირითადი გეგმების შესახებ ინფორმაცია.

CEENQA

2022 წლის 23-24 სექტემბერს, ცენტრმა მონაწილეობა მიიღო ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების ქსელის (CEENQA) გენერალური ასამბლეის შეხვედრაზე და სემინარზე თურქეთის რესპუბლიკის ქალაქ სტამბულში. სემინარზე მოხსენებებისა და დისკუსიის პირველი ნაწილი ეხებოდა დამოუკიდებლობისა და ავტონომიის ზოგად გამოწვევებს, ხოლო მეორე ნაწილი უშუალოდ განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების დამოუკიდებლობას. მოხსენებებით გამოვიდნენ უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაციის პრეზიდენტი, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების ქსელის დირექტორი და სხვა სპიკერები. გენერალური ასამბლეა და შესაბამისად ხმის მიცემის პროცესი 24 სექტემბერს გაიმართა, სადაც მონაწილეობას იღებდა ცენტრის წარმომადგენელიც. დღის წესრიგის შესაბამისად მიიღეს შემდეგი გადაწყვეტილებები: თურქეთის რესპუბლიკის ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოს ECZAKDER-ის ქსელში გაწევრიანებაზე თანხმობა; რუსეთის ფედერაციის ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების: NCPA, ARSA, ქსელიდან გარიცხვაზე თანხმობა; ფინანსური ანგარიშის მიღება; 2022 წლის ბიუჯეტის მიღება;
საწევრო საფასურის უცვლელად დატოვება (600 ევრო სრული წევრებისთვის, ხოლო 300 ევრო დამკვირვებელი წევრებისთვის); აღმასრულებელი ბორდის წევრებად აირჩიეს: ფრანცი დემშარი/Franci Demšar (გაუხანგრძლივდა), პეტერ ლაკატოსი/Peter Lakatos, ვესნა დოდიკოვიჩ-იურკოვიჩ/Vesna Dodikovic-Jurkovic, დინკეი კოკსალი/Dincay Koksal; დირექტორად, განახლებული ვადით აირჩიეს ფრანცი დემშარი/Franci Demšar; წევრებმა მხარი დაუჭირეს შემდეგი ღონისძიების, ასტანაში, ყაზახეთი, ჩატარებას.

ETF

საქართველოს, ევროპის განათლების ფონდში (ETF) გაკეთებული განაცხადის საფუძველზე, 2022 წელს, ცენტრს მიეცა შესაძლებლობა ემასპინძლა ETF-ის ყოველწლიური ფორუმისთვის, რომელიც თბილისში, 6-8 დეკემბერს გაიმართა. ცენტრის ინიციატივით, საქართველოში განხორციელდა

პროფესიულ განათლებაში მომზადება/გადამზადების სისტემის ეფექტიანობის შეფასება ETF-ის წევრი ქვეყნების წარმომადგენლების მიერ. შეფასებაში მონაწილეობდა ETF-ის 20-მდე წევრი ქვეყნის წარმომადგენელი და საქართველოში პროფესიული განათლების მომზადება/გადამზადების მიმართულებით ყველა დაინტერესებული მხარე. მსგავსი მასშტაბის ღონისძიების საქართველოში ჩატარება მნიშვნელოვანია ქვეყნის პროფესიული განათლების მომზადება/გადამზადების განვითარების კუთხით და წინგადადგმული ნაბიჯია ევროკავშირთან თანამშრომლობის გაღრმავების მიმართულებით, რაც ხელს შეუწყობს საქართველოს განათლების სისტემის გაუმჯობესებასა და ევროპულ სტანდარტებთან დაახლოებას.

SICI

ზოგადი განათლების ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით, 2022 წლის 16-17 ნოემბერს, ირლანდიის რესპუბლიკაში გამართულ ინსპექტორიატების მუდმივმოქმედ საერთაშორისო კონფერენციის (The Standing International Conference of Inspectorates - SICI) 27-ე გენერალურ ასამბლეაზე, წევრების სრული თანხმობით, ცენტრი ორგანიზაციის 43-ე წევრად აირჩიეს. SICI წარმოადგენს ევროპის განათლების ეროვნული და რეგიონალური ინსპექტორიატების ასოციაციას. მის ძირითად მიზანს წარმოადგენს ხელი შეუწყოს განათლების გაუმჯობესებას ინსპექტირების პროცესების გაუმჯობესების გზით. SICI-ის წევრობა ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი ნაბიჯია ზოგადი განათლების ინტერნაციონალიზაციის, გარე შეფასებასთან დაკავშირებით საქართველოსთვის მნიშვნელოვანი კვლევებში ჩართვის, გარე შეფასების სფეროში მოწინავე საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების და ცენტრის საქმიანობის შესახებ ცნობადობის გაზრდის მიმართულებებით.

საერთაშორისო პროექტები

პროექტი - საქართველოში სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული პროფესიული განათლებისა და მომზადების (VET) სისტემის მოდერნიზაცია

საანგარიშო პერიოდში, სააგენტომ, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით, განახორციელა საქართველოში სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული პროფესიული განათლებისა და მომზადების (VET) სისტემის მოდერნიზაციის პროექტი. პროექტის ძირითად მიზანს წარმოადგენდა პროფესიული განათლების მიმართულებით, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებისა და შესაძლებლობების გაძლიერება/განვითარება.

პროექტის ფარგლებში ჩატარდა პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტთა კონფერენცია, რომლის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, სადაც მონაწილეობა მიიღეს შემდეგმა დაინტერესებულმა მხარეებმა: ცენტრის, პსდ-ის, ექსპერტებმა, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, გაეროს, პროფესიული უნარების სააგენტოს წარმომადგენლებმა.

ასევე, ჩატარდა სემინარი სახელწოდებით: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებისა და პროცედურების გადახედვა. პროექტის ფარგლებში განხორციელდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს შესაძლებლობების გაძლიერება, სადაც განხილულ იქნა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებაში დაგეგმილი ცვლილებების გაცნობა.

ამასთან, აღსანიშნავია რომ პროექტის ფარგლებში ჩატარდა სხვადასხვა სემინარები: პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს პროფესიული განვითარება, ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტების შესაძლებლობების გაძლიერება და საგანმანათლებლო დაწესებულებების/კოლეჯების პროფესიული პროგრამის

ხელმძღვანელების/მენეჯერებისთვის სამუშაო აღწერილობებისა და სავალდებულო საკვალიფიკაციო მოთხოვნების დოკუმენტის შესახებ, რომელსაც ყველა დაინტერესებული პირი ესწრებოდა.

UNICEF

ცენტრსა და გაეროს ბავშვთა ფონდ UNICEF შორის 2022 წელს გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად, ცენტრში ამოქმედდა პროექტი - "ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების კანონის და სახელმწიფო სტანდარტების დანერგვის ხელშეწყობა ეროვნულ დონეზე ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის სისტემის შექმნის გზით". პროექტის განხორციელება აგვისტოში დაიწყო და 2023 წლის აპრილში დასრულდება.
2022 წლის განმავლობაში, UNICEF მხარდაჭერით მომზადდა „ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის პროექტი“, რითაც ფაქტობრივად შეიქმნა ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სისტემაში ხარისხის უზრუნველყოფის საკანონმდებლო ბაზა. მომზადებული წესის პროექტი ინიცირებულია საქართველოს მთავრობასთან დასამტკიცებლად.
UNICEF მხარდაჭერით დაიწყო თვითშეფასების ელექტრონული პლატფორმის განვითარება. ამ მიზნით, პროექტის ფარგლებში მომზადდა ტექნიკური დავალება, ჩატარდა ტენდერი და გამარჯვებულმა კომპანიამ დაიწყო თვითშეფასების ელექტრონული პლატფორმის შემუშავება. შინაარსობრივი ნაწილის გამართვისთვის ადმინისტრაციისთვის მომზადდა თვითშეფასების კითხვარი და სამი მიზნობრივი ჯგუფისთვის მისი ადაპტირებული ვერსია: მშობლებისთვის, ტექნიკური პერსონალისთვის და საგანმანათლებლო პერსონალისთვის.
პროექტის ფარგლებში ასევე მომზადდა ადრეული აღზრდისა და განათლების დაწესებულების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესის პროექტი და ტექნიკურ რეგულაციებთან დაწესებულების შესაბამისობის შეფასების ინსტრუმენტების პროექტები.
ამასთან, სკოლებში კვების მომსახურეობის შეტანასთან დაკავშირებით, 2022 წლის ივლისში გაეროს ბავშვთა ფონდსა და ცენტრს შორის სასკოლო კვების კონცეფციის შემუშავების ფარგლებში გაფორმდა საგრანტო ხელშეკრულება.
ხელშეკრულების შესაბამისად განხორციელდა სამუშაო ჯგუფების ფორმირება, რომელშიც შევიდნენ ჯანდაცვის, სოფლის მეურნეობის, დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის, ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტები და იურისტები.
დაინტერესებულ მხარეებთან ინტენსიური თანამშრომლობის რეჟიმში განხორციელდა სასკოლო კვების სერვისებთან დაკავშირებით საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზი, შემუშავდა საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სასკოლო კვების მიწოდების ინფრასტრუქტურის მოდელი და სივრცითი გეგმარების სახელმძღვანელოს პროექტი, განხორციელდა მოქმედი საკანონმდებლო ჩარჩოს ანალიზი და დადგინდა საჭირო საკანონმდებლო ცვლილებები, დასრულების ეტაპზეა სკოლის სტანდარტების პროექტი სასკოლო კვების სერვისების გაწევასთან დაკავშირებით.

ERASMUS +

ცენტრის მონაწილეობით ქ. ბუდაპეშტში გაიმართა PROFFORMANCE პროგრამის დასკვნითი კონფერენცია, რომელზეც შეჯამდა პროგრამის ფარგლებში განვითარებული სასწავლო პერსონალის შეფასების ინსტრუმენტი, გამოვლინდა და დაჯილდოვდა სწავლა-სწავლების საუკეთესო პრაქტიკები,

მათ შორის ქართული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან. ამასთან, ცენტრი ოფიციალურად ჩაერთო შემდგომ PROFFORMANCE+ პროგრამაში პარტნიორის სტატუსით.
Erasmus+ პროგრამა SQUARE-ის ფარგლებში, ცენტრის თანამშრომლები მივლინებით იმყოფებოდნენ საფრანგეთში, ქ. პარიზის ეროვნულ კონსერვატორიაში (Le CNAM), სადაც გაეცნენ ადგილობრივ გამოცდილებას უსდ-ის მესამე მისიის კუთხით განვითარების პრაქტიკებთან დაკავშირებით. ამასთან, 2022 წლის ივნისში, ამავე პროგრამის ფარგლებში ცენტრის თანამშრომლები მივლინებით იმყოფებოდნენ ფინეთში, ტურკუს უნივერსიტეტში, სადაც შეისწავლეს უსდ-ის მესამე მისიის განვითარებისა და სტრატეგიულ გეგმასთან ინტეგრირების ადგილობრივი გამოცდილება.
Erasmus+ პროგრამა RURD-ის ფარგლებში, ცენტრის წარმომადგენლები დაესწრნენ შეხვედრებს კაუნასის უნივერსიტეტში და სანტიაგო დე კომპოსტელას უნივერსიტეტში, სადაც გაეცნენ LLL-ის როლს რეგიონული განვითარების ჭრილში.
Erasmus+ პროგრამა INTEGRITY-ის ფარგლებში, ცენტრის წარმომადგენელი მონაწილეობდა ქ. ბათუმში დაგეგმილ კონფერენციაზე პლაგიატთან და დისტანციური სწავლების დროს წარმოშობილ გამოწვევებთან დაკავშირებით.

ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოებთან თანამშრომლობა და ვიზიტები

2022 წელს (28 ნოემბერი-3 დეკემბერი), ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი მობილობით იმყოფებოდა უნგრეთის აკრედიტაციის საბჭოს (MAB) ფარგლებში მოქმედ ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოში, ქ. ბუდაპეშტში. სამუშაო ვიზიტი შედგა თანადაფინანსებით, ბოლონიის ხარისხის უზრუნველყოფის თემატური ჯგუფის (TPG C on QA) პერსონალის მობილობის პროგრამის (IMINQA) ფარგლებში. ცენტრის წარმომდგენელს გაუზიარეს MAB-ში მოქმედი სტანდარტები და რეგულაციები, რაც გამოიყენება უნგრულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სადოქტორო სკოლების გარე ხარისხის შეფასებისათვის. გარდა ამისა, წინასწარ განსაზღვრული დღის წესრიგის მიღმა გაზიარებულ იქნა სხვა მნიშვნელოვანი, მათ შორის, ცენტრისათვის აქტუალური საკითხები (აკადემიური პერსონალის უსდ-სთან აფილირებისა და შენარჩუნება, შეფასების ელექტრონული სისტემა და ა.შ.) და ორივე სააგენტოს წარმომადგენლებს შორის შედგა თანამშრომლობისთვის ღირებული პროცესი. ვიზიტის ფარგლებში შეხვედრა დაიგეგმა უნგრეთის Erasmus+-ისა და TEMPUS-ის საჯარო ფონდისა ოფისში, რომელიც ცენტრთან ერთად ახორციელებს PROFFORMANCE/+ პროექტს. შეხვედრაზე განიხილეს მიმდინარე და დაგეგმილი აქტივობების პროგრესი, თანამშრომლობის პოტენციალი როგორც ცენტრთან, ისე საქართველოში მოქმედ უსდ-ებთან. მობილობის პროექტი ითვალისწინებდა ვიზიტის შეფასებასა და დეტალური ანგარიშის შედგენასა და ჩაბარებას. ანგარიში პროექტის ორგანიზატორ მხარეს ჩაბარდება მობილობის დასრულებიდან ერთი თვის განმავლობაში, ხოლო უკუკავშირის მისაღებად დოკუმენტი გაზიარებულ იქნება როგორც ცენტრთან, ისე უნგრულ მასპინძელ მხარესთან. მასში განხილული იქნება მიღწეული შედეგები, დაიდენტიფიცირებული გამოწვევები, საუკეთესო პრაქტიკები, მიგნებები და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან გაცნობის გეგმა. აღსანიშნავია, რომ მობილობის დასრულების შემდეგ უნგრეთის აკრედიტაციის საბჭო (MAB) გამოთქვამს სრულ მზადყოფნას ცენტრთან სამომავლო თანამშრომლობის გაზრდა-გაღრმავების კუთხით.
ამასთან, 2022 წლის განმავლობაში ცენტრის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა თემატიკის საერთაშორისო კონფერენციებში და კომპეტენციის შესაბამისი საკითხების შესახებ მოხსენებები წარადგინეს.

გაფორმებული მემორანდუმები

2022 წელს, ცენტრმა გააფორმა ურთიერთთანამშრომლობის შეთანხმება ხარისხის უზრუნველყოფის სამ სააგენტოსთან. კერძოდ, ცენტრსა და თურქეთის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის და შეფასების სააგენტოს (EPDAD) შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. მხარეები თანამშრომლობის ფარგლებში ერთობლივ ღონისძიებებს, კონფერენციებს, თანამშრომლების და ექსპერტების მობილობებს დაგეგმავენ, უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის საკითხების მიმართულებით.
2022 წელს, ცენტრსა და აზერბაიჯანის განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოს (TKTA) შორის გაფორმებული მემორანდუმის მიზანია ურთიერთთანამშრომლობა უმაღლესი და პროფესიული განათლების ხარისხის განვითარების საკითხებში ინფორმაციის, გამოცდილებისა და საუკეთესო პრაქტიკების გაზიარება.
ცენტრსა და ხორვატიის უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სააგენტოს (ASHE) შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომლის მიზანია უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარების საკითხებში ურთიერთთანამშრომლობა. მნიშვნელოვანია, მხარეებს შორის ინფორმაციის, გამოცდილებისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება.
ცენტრმა 2022 წელს გააფორმა ურთიერთთანამშრომლობის შეთანხმება ესტონეთის საერთაშორისო განვითარების ცენტრთან (ESTDEV). პარტნიორობის ფარგლებში ესტონური მხარე მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს საქართველოს ზოგადი განათლების ხარისხის განვითარების მიმართულებით, კერძოდ, ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩოსა და მექანიზმების განვითარების გზით, ზოგადი განათლების ხარისხის გაუმჯობესებაში.
საანგარიშო პერიოდში, ცენტრმა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი სსიპ - შრომის ინსპექციის სამსახურთან გააფორმა. მემორანდუმის ძირითადი მიზანია მხარეთა კომპეტენციებს მიკუთვნებულ სფეროებში თანამშრომლობის უზრუნველყოფა, ცენტრის მიერ განხორციელებული ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და ავტორიზაციის პირობების შემოწმების, ასევე პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამების განმახორციელებელი იურიდიული პირების ფორმალური განათლების ფარგლებში განხორციელებული პროგრამების უფლების მოპოვებისა და მონიტორინგის პროცესში ექსპერტული თანამშრომლობა.
ცენტრმა ასევე გააფორმა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ა(ა)იპ ბუღალტერთა კავშირთან. მემორანდუმის მიზანია ბუღალტერთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, მათი სწავლება, გადამზადება და ამა თუ იმ პრობლემურ საკითხში კვალიფიციური ადამიანური რესურსის მომზადების, არსებული სპეციალისტებისათვის კვალიფიკაციის დადასტურების პროცესების ხელშეწყობა და ამ მიმართულებით განათლების ხარისხის განვითარება.

თავი 9: 2022 წლის სამოქმედო გეგმის შესრულებული აქტივობების ანალიზი

ცენტრის 2022 წლის სამოქმედო გეგმის ფარგლებში შესაბამისი სამსახურების მიერ დაგეგმილი იყო 7 მიზნის, 28 ამოცანის და 75 აქტივობის განხორციელება. აღსანიშნავია, რომ, 2022 წლის სექტემბერში შევიდა შესწორება ცენტრის 2021-2025 წლების სტრატეგიასა და 2022 წლის სამოქმედო გეგმაში და დაემატა მე-7 მიზანი: „დანერგილია ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის

უზრუნველყოფის გარე მექანიზმები, რომლებიც ითვალისწინებს ეროვნულ თავისებურებებს და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას“.
2022 წლის იანვარი-დეკემბრის პერიოდში სრულად შესრულდა 53 აქტივობა, ნაწილობრივ შესრულდა 16 აქტივობა და ვერ შესრულდა 6 აქტივობა.
სამოქმედო გეგმის შესრულების პროცენტული გადანაწილება შემდეგი სახისაა:

გრაფიკი 5:



სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

მისამართი: მერაბ ალექსიძის ქუჩა, მეორე შესახვევი N2 ტელეფონი/ფაქსი: +995 322 200 220 (*3599) საფოსტო ინდექსი: 0193 ელ. ფოსტა: info@eqe.ge